ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 19 თებერვალი, 2018 №41 (7586) ფასი: 50 თეთრი

## იყო თუ არა ნასამართლევი სამგორის გამგებელი




გვ.2

16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

ეს მე ვარ, ფიროსმანი




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

# „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში ახალი დეტალებია, რომლებიც საქმეს მთლიანად ცვლის“



„ბუნებრივია, გავეცნობი პროკურატურის მიერ უკვე ჩატარებული ექსპერტიზის პასუხს და, თუ ეს არ იქნება ამომწურავი და სრულყოფილი, ისევ მოვითხოვ, ჩატარდეს ხელახალი ბალისტიკური ექსპერტიზა, სადაც ჩაერთვება ჩვენ მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტი, ალთუნაშვილი“

გვ.2



## ოთარ ანგურიძე: „დაგროვებითი საპენსიო სისტემა ეროვნული ბანკისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს“






გვ.4

## ვინ ამზადებს „ოცნებაში“ შეთქმულებას ივანიშვილის წინააღმდეგ







„ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკას საბოლოოდ ჩამოაშორეს“

გვ. 3

### სამართალი

გვ.7

გურჯაანში მშენებლობიდან 26 წლის მამაკაცი გადმოვარდა






ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი ზღვის დაბინძურებისთვის დააჯარიმეს



შსს-მ ბათუმში ზვიად სალთხუციშვილისა და გიორგი ხაჭაპურიძის მკვლელობის საქმე გახსნა

### ეკონომიკა

გვ.6



„ეფლი“, „გუგლი“, „თურქული ავიახაზები“ — ცნობილი კომპანიები, რომელთა აქციონერიც ბიძინა ივანიშვილია

„ტაქსებზე რეგულაციების შემოღება აუცილებელია“




რატომ გაძვირდა ხილი?



ვასო ურუშაძე: „თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა ყირამალას ჰგავს“



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 როგორ აისახება აშშ-ირანის დაპირისპირება კავკასიაზე?

4 აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ოთარ ფარცხალაძეზე — ამ პიროვნებისთვის ობიექტის მიყიდვამ თბილისის ბიუჯეტი დააზარალა

3 მეუფე შიო: „თუ მარხვა სიმდაბლის ნაცვლად ამპარტავნობად გექცა, ამას სჯობია, ყოველდღე ხორცი ჭამო“

2 კარლ ბილდტი: „არავინ ენდობა საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, არც მე“

# მარიამ კუბლაშვილი: „თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში ახალი დეტალებია, რომლებიც საქმეს მთლიანად ცვლის“

შორენა მარსაგიშვილი

**გასული წლის მიწურულს პანკისში ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაცია, შესაძლოა, ახალი სკანდალის მიზეზი გახდეს. მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი ამბობს, რომ მას ხელში ჩაუვარდა ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები.**





მისი თქმით, ეს ინფორმაციები საქმეს მთლიანად ცვლის. ადვოკატი ამბობს, რომ სპეცოპერაციის ღამეს სპეცრაზმელმა შეცდომა დაუშვა. ამის გამო კუბლაშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მოხდეს ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზა.

პროკურატურამ დაცვის მხარეს სპეცოპერაციის დროს გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების შუამდგომლობაზე უარი უთხრა.

იარაღზე ექსპერტიზა უკვე ჩატარებულია და შედეგები დღეს, 19 თებერვალს, გამოქვეყნდება.

– მე მაქვს ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რაც საქმეს მთლიანად ცვლის. ეს იქნება ჩემთვის მნიშვნელოვანი ხელჩასაჭიდი ალიბი, რომ სპეცრაზმელის მოქმედება სპეცოპერაციის ღამეს იყო შეცდომა, რის გამოც დავაყენე შუამდგომლობა, რომ მოხდეს იმ ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლიდანაც თემირლანის მისამართით გასროლა მოხდა. მე მალევე მივიღე პასუხი, რომ ამ იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზა უკვე ჩატარებულია და დასკვნა 19 თებერვალს გახდება ცნობილი, – ამბობს კუბლაშვილი.

მან არ იცის, რა წერია ამ დასკვნაში. თუ პასუხი ამომწურავი არ იქნება, ის ექსპერტიზის თავიდან ჩატარებას მოითხოვს.

– ბუნებრივია, გავეცნობი პროკურატურის მიერ უკვე ჩატარებული ექსპერტიზის პასუხს და, თუ ეს არ იქნება ამომწურავი და სრულყოფილი, ისევ მოვითხოვ, ჩატარდეს ხელახალი ბალისტიკური ექსპერტიზა, სადაც ჩაერთვება ჩვენ მიერ მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტი, ალთუნაშვილი, – განუცხადა ჟურნალისტებს მაჩალიკაშვილების ადვოკატმა.

ახალი დეტალების გარკვევას ელოდება თემირლან მაჩალიკაშვილის მამაც.

მალხაზ მაჩალიკაშვილმა გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა, რომ პროკურორთან შეხვედრის შემდეგ დაჰპირდნენ ახალი დეტალების გარკვევას, თუმცა მას ამ დრომდე არავინ დაჰკავშირებია. ის ამბობს, რომ პანკისელები ამ საქმის გამოძიებით დაინტერესებული არიან და თბილისში აქციების გამართვასაც გეგმავენ.

მალხაზ მაჩალიკაშვილი მიიჩნევს, რომ ჯერ აქციების დრო არ არის. შვილმკვდარი მამა ჯერ კიდევ ელოდება სამართალს.

– პროკურორთან შეხვედრის შემდგომ არანაირი სიახლე არ არის, არავინ დაგვკავშირებია. შეხვედრაზე გვითხრეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ახალი დეტალები იქნებოდა. მთელი ხეობა მეუბნება, ჩავიდეთ თბილისში და აქციები გავმართოთო, მაგრამ ამ ხალხს ვეუბნები, რომ თავი შევიკავოთ. მე არც ის მინდა, რომ ჩემი წუხილი ხალხზე გადავიტანო და სიტყვა მაქვს ნათქვამი, უნდა დაველოდო სამართალს, – განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

## პატრიარქმა მრევლს შენდობა სთხოვა



სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამების საკათედრო ტაძარში შენდობის ლოცვა წაიკითხა. მისმა უწმინდესობამ მრევლს შენდობა სთხოვა, ასევე, ილოცა საერო და სასულიერო პირთათვის.

– ღმერთო, მამაო, ძეო ღვთისაო და სულო წმინდაო, შეუნდე ერსა ჩვენსა შეცოდებულსა; ღმერთო, შეუნდე მთავრობასა და მხედრობასა ჩვენსა; ღმერთო შეუნდე მღვდელმთავრებსა, სამღვდელოებასა, დიაკვნებსა, ბერ-მონაზვნებსა; ღმერთო, შეუნდე ჩვენს ახალგაზრდობას და მოხუცებულთა; ღმერთო, შეუნდე ყოველთა მკვიდრთა საქართველოისათა; ღმერთო, შეუნდე უცხოეთში მცხოვრებთა თანამემამულეთა; ღმერთო, შემინდე მე ცოდვილსა და უღირსსა მონასა შენსა, ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო, შემინდეთ მე ცოდვები ჩემი, – განაცხადა პატრიარქმა. მან მრევლს მარხვის სინანულში გატარება და ბედნიერი აღდგომა უსურვა.

**ინტერპრესნიუსი**

## სააკაშვილმა კიევში მიმდინარე აქციის მონაწილეებს ევროპიდან პირდაპირი ეთერით მიმართა



საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კიევში გუშინ, 18 თებერვალს გამართული აქციის – „მომავლისათვის მარშის“ მონაწილეებს ევროპიდან პირდაპირი ეთერით მიმართა. სააკაშვილმა უკრაინელებს კიდევ უფრო გააქტიურებისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მათ არ უნდა შეწყვიტონ ბრძოლა კორუმპირებული ხელისუფლების წინააღმდეგ, სანამ მიზანი მიღწეული არ იქნება.

– უკრაინელ ხალხს ვეღარაფერი გააჩერებს! პოროშენკოს, აცვაკოვის, იაცენიუკის, გროისმანის გვერდით ჩვენ აღარ ვიქნებით, – განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილის განცხადებით, იგი ევროპაშია და კარგად ხედავს, თუ როგორ ეცემა უკრაინის ხელისუფლების რეიტინგი, რაც, სამწუხაროდ, უკრაინისადმი დამოკიდებულებაშიც მეტ-ნაკლებად აისახება. საქართველოს მესამე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი აუცილებლად დაბრუნდება უკრაინაში, თუმცა, მთავარი მიზნის – პოროშენკოსა და მისი კორუმპირებული მთავრობის გადადგომის მისაღწევად, თავად უკრაინელების აქტიურობა იქნება საჭირო.

**თაიმერი**

## კარლ ბილდტი: „არავინ ენდობა საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, არც მე“



შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კარლ ბილდტი მიესალმება უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მან მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირება არ მოხდინა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას არავინ ენდობა.

– მიხეილ სააკაშვილი ძლიერი ფიგურაა, მას ძლიერი იდეები აქვს და ის აქტივისტია. ვნახავთ რას იზამს მომავალში. ის იდეების ძალიან ძლიერი ჩემპიონია. ეს იდეები შეიძლება იყოს ანტიკორუფციული, დაკავშირებული დემოკრატიასთან ან სხვა რამ, ასე რომ ვნახოთ. რაც შეეხება პოროშენკოს, მნიშვნელოვანი იყო, რომ მან უარი თქვა სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე და მე ვეთანხმები ამაში, რადგან არავინ ენდობა საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის არც მე ამ კონკრეტულ შემთხვევაში და ეს ცუდად მეტყველებს საქართველოზე, – განაცხადა კარლ ბილდტმა.

**თაიმერი**

## კახა კალაძე: „თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც იმოქმედებს“



– თუ ვინმეს დანაშაული აქვს, ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც იმოქმედებს.

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

კახა კალაძემ უპასუხა ჟურნალისტის კითხვას იმის შესახებ, გათავისუფლდება თუ არა მერიიდან ვინმე იმ შემთხვევაში, თუკი აუდიტის დასკვნაში დარღვევებზე იქნება საუბარი.

– მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩვენთვის მთავარი არის პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და ჩვენ ასეთ ადამიანებთან ვაპირებთ მომავალშიც მუშაობას, – განაცხადა კალაძემ.

არსებული ინფორმაციით, 19 თებერვალს თბილისის მერიის შესახებ აუდიტის სამსახურის დასკვნა გამოქვეყნდება.

**ინტერპრესნიუსი**

## გერმანიის შს მინისტრი: „თუ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზრდება, შესაძლოა, შეჩერების მექანიზმის ამოქმედება დავიწყოთ“



ოფიციალური გერმანია საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმის შესაძლო ამოქმედებაზე ალაპარაკდა. განცხადება ამის შესახებ გერმანიის შს მინისტრმა ტომას დე მეზიერმა მიუნხენის უსაფრთხოების სამდღიანი კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრების შემდეგ გააკეთა.

– საქართველომ იცის, რომ თუ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი მკვეთრად გაიზრდება ჩვენ შესაძლოა შეჩერების მექანიზმის ამოქმედება დავიწყოთ, ასე რომ საქართველოზეა დამოკიდებული ვიზალიბერალიზაციის მომავალი. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია დავიცადოთ, მაგრამ რაოდენობის ზრდა შეშფოთების საგანია. კიდევ ერთი საკითხი, რაც გვაწუხებს, არის ის, რომ თავშესაფრის მთხოვნელთა შორის კრიმინალის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან. ასე რომ, საქართველომ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, – განაცხადა გერმანიის შს მინისტრმა ტომას დე მეზიერმა.

**პირველი რადიო**

## იყო თუ არა ნასამართლევი სამგორის გამგებელი



თბილისის საკრებულოს ბოლო სხდომაზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გადაყენება მოითხოვეს.

ოპოზიციური პარტიის ინფორმაციით, გამგებელი სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მძიმე მუხლით არის ბრალდებული.

აღნიშნულ ფაქტს უარყოფს თავად სამგორის რაიონის გამგებელი დავით კერესელიძე და აცხადებს, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სამი წლის წინ მომხდარი ინციდენტის გამო მუქარის მუხლით აღიძრა, კონფლიქტის დროს არ მომხდარა არც ქონებრივი და არც ფიზიკური დაზიანება.

– სამი წლის წინ, მარტში, პარკირების დროს მოხდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტი, ერთ-ერთი მცხოვრებლის სიძის მანქანა იყო გაჩერებული. ამ კონფლიქტში არ მომხდარა არც ქონებრივი, არც ფიზიკური დაზიანება და ეს პიროვნება ადგა და საჩივარი შეიტანა. ეს არის მუქარის მუხლი, ჩვეულებრივი მუქარაა. შენიშვნა მივეცი მანქანაზე, ნუ გააჩერებ მეთქი, ეს ფაქტი ერთხელ, ორჯერ განმეორდა, მესამედ შენიშვნა მივეცი და ამაზე ადამიანი შეშინდა და იჩივლა, – განაცხადა დავით კერესელიძემ „კურიერთან“ სატელეფონო საუბრისას.

თავის მხრივ, ენმ-ს წევრის ლევან ხაბეიშვილის თქმით, აუცილებელია, რომ გამოძიებისა და სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს სავარაუდო დამნაშავემ დატოვოს თანამდებობა.

– სასამართლოდან ინფორმაციის გამოთხოვა ერთი წელია შეუძლებელი გახდა და ძნელია დაადგინო, თუ რომელი მუხლით არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული. ფაქტია ის, რომ აღძრულია და მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ გამგებლის მიმართ. გაასაჯაროონ, რა საქმეზე მიმდინარეობს, ამასთანავე, აუცილებელია და მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებისა და სასამართლო პროცესების მიმდინარეობის დროს სავარაუდო დამნაშავემ დატოვოს თანამდებობა, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ ამზადებს „ოცნებაში“ შეთქმულებას ივანიშვილის წინააღმდეგ



შორენა მარსაგიშვილი

## ზაალ კასრელიშვილი: „ყოფილი პრემიერი ბიუჯეტის ვირთხებს უსიამოვნო სიურპრიზს უმზადებს“



**რა ხდება სახელისუფლებო კულუარებში, ვინ ემზადება ახალ გაერთიანებაში შესასვლელად, ვინ გამოუთხარა ძირი ღარიბაშვილს, ვინ მოაქცია ივანიშვილი საინფორმაციო ვაკუუმში, გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია მიხეილ სააკაშვილის გარშემო? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.**

***— აშშ-ის დაზვერვის შეფმა თავის ანგარიშში დაწერა, რომ „ქართული ოცნება“ ოპოზიციის ჩიხში მოქცევას შეეცდება. ამ ფონზე მიხეილ სააკაშვილმა ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა. გაჩნდა ვარაუდი, რომ ის, შესაძლოა, კიდევ ერთხელ მოგვევლინოს ოპოზიციის ლიდერად.***

— სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა უკრაინაში დაამთავრა. იქ მას პერსპექტივა აღარ აქვს და ამიტომ გაამახვილა ყურადღება ქართულ ოპოზიციაზე. მას იმედი აქვს, რომ ხალხი მას ისევე დაუჯერებს, როგორც ეს 2003 წელს მოხდა. მაშინ მისი და მისი პარტიის მაქსიმალური რეიტინგი 15% იყო. გარკვეული ძალების მეშვეობით მათი აქციები სხვანაირად შუქდებოდა და დასავლეთი დააჯერეს, რომ სააკაშვილს მთელი საქართველო უჭერდა მხარს.



„ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკას საბოლოოდ ჩამოაშორეს“

ეს პროცესები ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდა, მაგრამ, რადგან გულუბრყვილოები ვართ, მოვტყუვდით. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიშა ვჭამეთ. ახლა სხვა რეალობაა. აქ მიხეილ სააკაშვილი ველარ შემობრუნდება. მან თავისი სახე ბოლომდე აჩვენა და მას აღარავინ ენდობა.

***— კარგით, სააკაშვილი ჩავლილ მატარებლად ჩავთვალოთ, სხვა პერსონებისა და პარტიების გაძლიერებაზე რას ფიქრობთ? ხშირად ამბობთ, რომ პარტიების დიდ ნაწილს საზღვარგარეთ ჰყავს პატრონი. ეს პატრონები არაფერს აპირებენ?***

— დასავლეთში არსებობენ ძალები, რომლებსაც კორპორატიული ინტერესები აქვთ. რაც შეეხება ამერიკასა და ევროპას, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მათ წინასწარ ფსონის დადება არ უყვართ.

ისინი ფსონს გამორჩეულ ფიგურებზე აკეთებენ. ასეთი გამორჩეული ფიგურა ქართულ პოლიტიკაში ჯერ არ ჩანს. ბრმათა შორის ცალთვალა თუ გამოარჩიეს, მასთან შეიძლება იყოს რაღაც კომუნიკაცია. ერთი რამეც დაიმახსოვრეთ, არც დასავლეთი. არც აღმოსავლეთი და არც ქართველი ხალხი აღარ დაუშვებს იმას, რომ სააკაშვილის გარშემო ხელოვნურად გაერთიანდეს ოპოზიცია.

ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილის გააქტიურება ვიღაცამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოიყენოს.

***— ვის შეუძლია ამ კოზირის გამოყენება?***

— ბევრ ვინმეს.

***— ივანიშვილის გუნდის წევრებსაც?***

— საკითხავია, თქვენ ვის გულისხმობთ მისი გუნდის წევრებად. მხედველობაში თუ „ქართული ოცნება“ გყავთ, ძალიან შემცდარხართ.

***— „ოცნება“ არ არის ივანიშვილის გუნდი?***

— თავიდან იყო. ახლა ცოტა ძნელია იმის გარკვევა, ვინ თვლის „ოცნების“ წევრებიდან თავს ბიძინას გუნდის წევრად. არც იმის გარკვევაა იოლი, ვის მიიჩნევს ყოფილი პრემიერი თავის თანაგუნდელად.

***— უკვე ასეა საქმე, რომ ბიძინას გუნდის წევრობა „უტყდებათ“?***

— ჩვენ შემთხვევით განცხადებებს არ ვაკეთებთ და, რადგან ამას ვამბობთ, რაღაც ინფორმაციაც გვაქვს.

***— შეგიძლიათ გვითხრათ, რა ინფორმაცია გაქვთ?***

— ყველაფერი არ ითქმება. მმართველ გუნდში არიან ადამიანები, რომლებიც ივანიშვილისგან დისტანცირებასა და დამოუკიდებელი თამაშის დაწყებას შეეცდებიან. ამ მხრივ ის ხალხი იაქტიურებს, ვინც დიდი ფული დააგროვა. ისინი დამოუკიდებლად ამ პროცესს არ დაიწყებენ. ისინი სხვა პერსონის აქტიურობის ჩრდილში შეეცდებიან, საკუთარი თამაში დაიწყონ.

***— „ოცნებაში“ ბევრმა დააგროვა ბევრი ფული.***

— ფული მართლა ბევრმა იშოვა, ამ მხრივ მხოლოდ მეოცნებენი არ გამოირჩევიან. ყველა ხელისუფლებაში იყვნენ პერსონები, რომლებმაც ხალხისა და ბიუჯეტის ყვლეფის ხარჯზე დიდძალი ქონება დააგროვეს. ბევრი მათგანი ყველა ხელისუფლებას მოერგო და სულ არ რცხვენია იმის, რომ ათას კალთაში იჯდა.

მართალია, მათ ბევრი ფული აქვთ, მაგრამ ინტელექტის ნასახი არ გააჩნიათ. თავიანთი ინტელექტით ეგენი შორს ვერ წავლენ.

***— თქვენი აზრით, ქართულ პოლიტიკაში ინტელექტია საჭირო? ამ გალატაკებულ ქვეყანაში ყველაფერს ფული წყვეტს. ამის ნათელი მაგალითი საქართველოს პარლამენტია. მათი ნაწილი საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ ფული აქვს.***

— გასაგებია, რომ საქართველოში ფული წყვეტს ბევრ რამეს, მაგრამ დასავლეთში ამას ცოტა სხვანაირად უყურებენ. მათ ინტელექტიც აინტერესებთ. პოლიტიკაში მყოფ ფულიანებს კი ინტელექტი არ აქვთ, სამაგიეროდ, აქვთ ამბიციები. ერთხელაც იქნება და მაგ ამბიციურებს ჩამოუვლის ბიძინა ივანიშვილი.

***— ჩამოვლაში რას გულისხმობთ?***

— რასაც ყველანი მალე დაინახავთ. ეგრე არაა, ამათ როგორც უნდათ. ფული იშოვეს და რაღაცები მოინდომეს. ეს თამაში მათ შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ. ყველამ კარგად დაიმახსოვროს, რომ ივანიშვილს ორივე ჯოკერი ხელში უკავია. ის ყველაფრის საქმის კურსშია და ბიუჯეტის ვირთხებს უსიამოვნო სიურპრიზს უმზადებს.

***— რა სიურპრიზს?***

— ძალიან მალე ნახავთ ამას.

***— საზოგადოებაში აქტიურად განიხილებოდა ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების საკითხი. წინა კვირაში ეს ერთ-ერთი ჩინური კომპანიის მრჩევლად დაინიშნა. ამით, როგორც ამბობენ, ის ივანიშვილმა სრულად ჩამოაცილა პოლიტიკას. ამასთან დაკავშირებით თქვენ რას ფიქრობთ?***

— ღარიბაშვილი პოლიტიკას საკუთარმა ნათესავებმა ჩამოაცილეს, ივანიშვილი არაფერ შუაშია. ადამიანი ფონდ „ქართუში“ მუშაობდა საშუალო ხელფასზე. მოულოდნელად ის შს მინისტრად დაინიშნა, შემდეგ კი პრემიერის სავარძელიც ჩაიბარა. ასე პოლიტიკაში არავის გამართლებია. იმის ნაცვლად, რომ საქმე ეკეთებინა, სხვებს დაუწყო ძირის გამოთხრა.

***— სხვებისთვის ძირის გამოთხრაში რას გულისხმობთ? ამბობენ, რომ იქით მას უთხრიდნენ ძირს.***

— მასაც უთხრიდნენ ძირს. ამას მისი ნათესავები აკეთებდნენ. დღეს ღარიბაშვილს ჩინურ კომპანიაში რომ უწევს მუშაობა, მისი ნათესავების დამსახურებაა. ყველაფერი მათ და საკუთარ თავს დააბრალოს.

ის ყველაფერს აკეთებდა, რომ ბიძინას გარშემო მხოლოდ ის ყოფილიყო, ცდილობდა, ივანიშვილს მხოლოდ მისგან გაეგო ახალი ამბები. მან რაღაც დოზით ივანიშვილი მოაქცია კიდევაც იზოლაციაში. ბიძინასთან მხოლოდ ის ინფორმაციები მიდიოდა, რომლებიც ღარიბაშვილის გარემოცვას აწყობდა.

ყოფილი პრემიერი არ აღმოჩნდა გულუბრყვილო. მან დაიწყო ინფორმაციების სხვადასხვა წყაროიდან მიღება, რაც იმით დამთავრდა რომ ღარიბაშვილის კლანი ხელისუფლებას არის ჩამოცილებული. ამ ახალგაზრდას თუ ჭკუა აქვს, პოლიტიკისკენ აღარც უნდა გამოიხედოს.

პოლიტიკურ პროცესებს ბევრი სხვაც ჩამოშორდება. ტყუილად არ ვახსენე, რომ ივანიშვილი ბიუჯეტის ვირთხებისთვის სიურპრიზს ამზადებს. ქართული პოლიტიკა სერიოზულად გასაწმენდია, მით უმეტეს ახლა, როცა გეოპოლიტიკური პროცესები ჩვენ სასარგებლოდ მიმდინარეობს.

***— თქვენ დიდი ხანია, ამაზე საუბრობთ, მაგრამ ჯერ ვერაფრით დაგვადგა საშველი.***

— საშველი უკვე დაგვადგა. ძალიან მალე გავბრწყინდებით კიდევაც. მთავარია, ახლა შეცდომა არ დავუშვათ. შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ისეთი პროცესებია, შეცდომას, უბრალოდ, ვერ დავუშვებთ. ჩვენ კი არა, აგერ ჩრდილოეთ კორეაც სწორ გზას დაადგა.

### ექსკლუზივი — რა უთხრა ტილერსონმა ერდოღანს

***— რით გამოიხატება მისი სწორ გზაზე დადგომა?***

— აშკარაა, რომ ფხენიანი სეულთან ურთიერთობის დარეგულირებას ცდილობს. გასულ წელს რუსეთი შეეცადა, ჩრდილოეთ კორეის გამოყენებით დასავლეთი დაეშანტაჟებინა, ეგონა, ბირთვული საფრთხის წინაშე მდგომი მსოფლიო მას სთხოვდა დახმარებას, კონფლიქტის მოგვარების სანაცვლოდ კი დასავლეთი კავკასიას დაუთმობდა.

პუტინმა კიმ ჩენ ინს გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოშვებული ბირთვული რაკეტები ასროლინა. ამის სანაცვლოდ ფხენიანს დიდ ფულს დაჰპირდნენ. კიმმა გაისროლა ჟანგიანი რაკეტები, ზოგი სად ჩამოუვარდა, ზოგი — სად.

გასროლის ეტაპი რომ დაასრულა, ფხენიანმა მოსკოვს დაპირებული თანხა მოსთხოვა. სანქციების ქვეშ მოქცეულ რუსეთს თავისთვის აღარ აქვს ფული და სხვას რას მისცემდა. ამაზე გამწარებული კიმ ჩენ ინი სამხრეთ კორეაში ოლიმპიადაზე დასასწრებად ჩავიდა, სადაც სამხრეთ კორეის ლიდერს ჩაეხუტა.

***— კაი გათახსირებული ყოფილა ეს კიმ ჩენ ინი. რამდენიმე თვის წინ სამხრეთ კორეას ბირთვული რაკეტებით ემუქრებოდა.***

— გათახსირებული და ჩვეულებრივი წითელი ეშმაკია. მისთვის მთავარი ფული და ძალაუფლებაა. ის სეულს რუსეთის დავალებით ემუქრებოდა. დაპირებული თანხა რომ ვერ მიიღო, სეულს ჩაეხუტა.

ჩრდილოეთ კორეის შემდეგ რუსეთი თურქეთსაც დაკარგავს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ერდოღანთან 3-საათიანი სერიოზული საუბარი ჰქონდა. ამ საუბრის შემდეგ ანკარას აუცილებლად გაუნათდება გონება.

***— რა უთხრა ამისთან ტილერსონმა ერდოღანს?***

— რასაც ახლა გეტყვით, ეს იქნება ექსკლუზივი. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ამ შეხვედრის დეტალები მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცის და ერთ-ერთი მათგანი მე ვარ. გეტყვით იმასაც, რომ ამ შეხვედრას, ამ ორი პიროვნების გარდა, არავინ ესწრებოდა.

***— თქვენ საიდან გაიგეთ ეს დეტალები?***

— ჩვენ ბევრი რამე ვიცით. ტილერსონმა ერდოღანს დეტალურად ჩამოუთვალა, რამდენი ფული აქვს ამერიკას დახარჯული თურქეთის სახელმწიფოს გასაძლიერებლად. დღეს რომ თურქეთი ძლიერი სახელმწიფოა, ეს მთლიანად ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის დამსახურებაა.

ტილერსონმა ერდოღანს უთხრა, თქვენ თუ რუსეთთან გინდათ ურთიერთობა, ეს ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ ვალი ბოლომდე უნდა დაგვიბრუნოთო.

თურქეთს ისიც გაახსენეს, რომ სირიაში ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს ამერიკელების მიწოდებული იარაღით ბომბავდნენ. უთხრეს ისიც, რომ ცოტა ხნის წინ რუსეთს ძალა ამერიკული იარაღით აჩვენეს. ასე რომ, ახლა თურქეთის გადასაწყვეტია, რა გზას აირჩევს.

საბედნიეროდ, ამერიკის სათავეში მოვიდა ისეთი პრეზიდენტი, რომელიც არაორდინარულია და მკვეთრ გადაწყვეტილებებს არ ერიდება. საქართველოსა და კავკასიას აქამდეც მაღალი ფასი ჰქონდა. ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ ჩვენი რეგიონის ფასი გაასმაგდა.

დასავლეთი ძალიან კარგად აფასებს საქართველოს შესაძლებლობებს. დარწმუნებული ვარ, აქ ყველაფერი დალაგდება. ასეთი შანსი საქართველოს დიდი ხანია, არ ჰქონია.

# ოთარ ანგურიძე: „დაგროვებითი საპენსიო სისტემა ეროვნული ბანკისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს“




ნათია ხურცილავა

**ეკონომიკის ექსპერტი ოთარ ანგურიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე საუბრობს.**

***— ბატონო ოთარ, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საპენსიო სისტემის რეფორმას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ დაგროვებითი პენსიის ამოქმედებას ალტერნატივა არ გააჩნია. რამდენად იზიარებთ ამ პოზიციას?***

— საპენსიო რეფორმას ალტერნატივა რომ არ აქვს, ამაში ნამდვილად ვეთანხმები. პენსია იმ სახით, როგორც დღეს ჩვენთან არსებობს, არ არის პენსია. ეს არის შემწეობა, რომელსაც სახელმწიფო გარკვეულ ასაკს მიღწეულ ადამიანებს უხდის. თანამედროვე, კლასიკური გაგებით საპენსიო სისტემა რომ გვქონდეს საქართველოში, ამისთვის საჭიროა ამ სისტემის რეფორმირება. ყველა განვითარებულ სახელმწიფოში არის დაგროვებითი საპენსიო სისტემა, სადაც ადამიანები მუშაობენ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავიანთ შემოსავლებს აგროვებენ და შემდეგ ამ შემოსავლებიდან იღებენ პენსიას.

***— პირველად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?***

— ამ პროცესს, პირველ რიგში, მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება. ყველაზე უპრიანი იქნება, თუ აქტიური კამპანია დაიწყება მოსახლეობის დასარწმუნებლად, რომ დაგროვებითი სისტემა მნიშვნელოვანია. ზოგადად ამ პროცესთან დაკავშირებით კამპანია იქნება ჩასატარებელი, რადგან არ ხდება სწორი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის, რომ საბოლოო ჯამში ეს სისტემა მისთვის არის კარგი.

***— დაგროვებით სისტემას რა რისკები უკავშირდება?***

— ერთი დიდი რისკი არის ის, რომ ეს სისტემა, მისი შინაარსით, ერთგვარად ბანკების კონკურენტი უნდა იყოს, რადგანაც საუბარია საინვესტიციო ფონდზე, ამიტომ ეს სისტემა წარმატებული რომ იყოს, თავისუფალი უნდა იყოს ბაზარზე გარე ძალების, მათ შორის საბანკო სისტემის გავლენებისგან. ამიტომ მე ვისურვებდი, რომ არ მოხდეს ამ რეფორმის განხორციელება დაჩქარებულად და გაუაზრებლად. ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ეს კანონპროექტი და ასე უნდა განისაზღვროს ის რისკები, რომლებიც შესაძლებელია, ამ სააგენტოს მოქმედების პროცესში დაუდგეს.



ამ სააგენტოს სასიცოცხლოდ ესაჭიროება თავისუფალი კაპიტალის ბაზარი, რომელიც დღეს ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ, ამ კანონის მიღებასთან ერთად აუცილებელია, რომ ფასიანი ქაღალდების კომისია, რომელიც ეროვნულ ბანკში არის ცალკე, დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდეს. კაპიტალის ბაზარი აუცილებელია ქვეყანაში, სადაც თავისუფლად შეეძლება საპენსიო ფონდს, განათავსოს საკუთარი კაპიტალი. ამ პროცესში უნდა იყოს სადაზღვევო სექტორიც ჩართული.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ ამ რეფორმის შედეგად შესაძლებელია, კიდევ უფრო მეტი უმუშევარი მივიღოთ, რადგან დაგროვებითი საპენსიო სისტემა დამსაქმებლისთვის შეიძლება გახდეს პრობლემა და მან სამსახურიდან გაუშვას ადამიანი. თქვენ ხედავთ აქ რისკს?***

— ეს არის თითიდან გამოწოვილი. ამ რისკს კავშირი რეალობასთან არ აქვს. მეტსაც გეტყვით — თუ ეს რეფორმა წარმატებული იქნება, შეიძლება ამან ეკონომიკის განვითარებასაც ხელი შეუწყოს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც კი დაუდოს ბიძგი.

***— ხელისუფლება უცხოური გამოცდილების გაზიარებას აპირებს. დაგროვებითი საპენსიო სისტემა ევროპულ ქვეყნებში თუ არის და თუ გაამართლა მან?***

— პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში დაგროვებითი პენსია არის, მაგრამ არის სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა რეგულაციის ქვეშ. ჩვენთან, ამ კანონპროექტის მიხედვით, ეს ექცევა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ. ეროვნული ბანკი, როგორც ჩანს, აქტიურად აპირებს მის საქმიანობაში ჩარევას. ასე ჩანს კანონპროექტიდან.

სხვა ქვეყნებში ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ბევრ ქვეყანაში დამოუკიდებელ სისტემად არის ჩამოყალიბებული საპენსიო სისტემა და საპენსიო ფონდები და ცალკე მარეგულირებელი ჰყავს, ეროვნული ბანკისგან დამოუკიდებელი. ამ მიმართულებით თუ ვიფიქრებთ და უფრო განვავითარებთ ამ პოზიციას, უკეთესი იქნება, რადგან საპენსიო ფონდები ერთგვარ კონკურენციაშია საბანკო სექტორთან. ამიტომ, ერთი რეგულაციის ქვეშ თუ იქნებიან, ამან შეიძლება, გარკვეული სახის ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს.

***— ამ რეფორმის შედეგად პენსია გაიზრდება?***

— ეს რეფორმა არ შეეხება ახლანდელ პენსიონერებს, ეს რეფორმა შეეხება იმ ასაკის ადამიანებს, რომელთაც საპენსიო ასაკი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უწევთ. მათ წინასწარ უნდა დაიწყონ საპენსიო ასაკისთვის ზრუნვა და თავიანთი აქტივების დაგროვება. ეს არის ერთგვარი დანაზოგი, რომელიც ადამიანმა მთელი ახალგაზრდობის განმავლობაში დააგროვა უზრუნველყოფილი სიბერისთვის.

# აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ოთარ ფარცხალაძეზე — ამ პიროვნებისთვის ობიექტის მიყიდვამ თბილისის ბიუჯეტი დააზარალა



მერია უმეტეს შემთხვევაში აუქციონებს აცხადებდა შემზღუდავი პირობით, ასეთ აუქციონებში კი მცირდებოდა საწყისი საპრივატიზაციო ფასი და, შესაბამისად, მიწების გასხვისებაც ხდებოდა არასაბაზრო ღირებულებით, — ამის შესახებ ჟურნალისტებს აუდიტის დეპარტამენტის უფროსმა გიორგი მამრიკიშვილმა განუცხადა.

მამრიკაშვილის თქმით, აუდიტის სამსახურის მიერ მერიის საკუთრებაში არსებული ქონების და განკარგვის თაობაზე გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც 2015-2016 წლებს მოიცავს, გამოვლინდა 10 შემთხვევა, როცა მერიის მიერ შემზღუდავი პირობის დაწესება მოხდა ისე, რომ არსებობს რისკი, აღნიშნული მორგებული ყოფილიყო კონკრეტული პირების ინტერესებზე.

— სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თბილისის მერიის მიერ 2015-2016 წლებში უძრავი ქონების პრივატიზების შესაბამისობის აუდიტი. გამოვლინდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანებები, მათ შორის სისტემური ხასიათის, რომელზეც აუდიტმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები. ნაკლოვანება გულისხმობდა იმას, რომ მერია უმეტეს შემთხვევაში აუქციონებს აცხადებდა შემზღუდავი პირობით, ასეთ აუქციონებში მცირდებოდა საწყისი საპრივატიზაციო ფასი, შესაბამისად, რადგანაც შემცირებული ღირებულებით იყო გამოცხადებული და მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, არ ფიქსირდებოდა კონკურენცია და მიწების გასხვისებაც ხდებოდა არასაბაზრო ღირებულებით.

საუბარია 500 ობიექტზე. ჩვენი შესწავლით გამოვლინდა, რომ ნაწილზე შესაძლებელია იყოს ობიექტური გარემოება, თუმცა, ანგარიშში დაფიქსირებულია მინიმუმ ათი ფაქტი, რომელზეც, ჩვენი მოსაზრებით, არსებობს რისკი, რომ პირობები მორგებული იყო კონკრეტული პიროვნებების ინტერესებს, — განაცხადა გიორგი მამრიკიშვილმა.

რაც შეეხება ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძისთვის მიწის ნაკვეთის მიყიდვას, მამრიკიშვილის თქმით, კონკრეტულ გვარებზე ვერ ისაუბრებს, თუმცა ადასტურებს, რომ ამ შემთხვევაში მერიამ პროცესი გააჭიანურა და ისე წარმართა, რომ ზიანი მიადგა თბილისის ბიუჯეტს.

— სტანდარტის შესაბამისად, ჩვენ კონკრეტულ პიროვნებებზე ვერ ვსაუბრობთ, ანგარიშში აქცენტი გაკეთებულია სისტემურ დარღვევაზე, რაც გამოვლინდა მერიაში და ამან გამოიწვია ის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ შორის თქვენ მიერ ხსენებული პიროვნებისთვის ობიექტის მიყიდვით ზიანი მიადგა მერიის ინტერესებს. თანხობრივად ვერ ვიტყვით რამდენია ზარალი, რადგან ჩვენ ვერ ვადგენთ ამას, მაგრამ ვამბობთ, რომ მერიამ გააჭიანურა პროცესი, რამაც დააზარალა ბიუჯეტი. მოქალაქეს, რომლის მიწაზეც გზა გავიდა, თავიდან არ აუნაზღაურეს კომპენსაცია, ბოლოს კი იმაზე მეტი თანხა გადაუხადეს, ვიდრე გადაიხდიდნენ პროცესის სწორად წარმართვის დროს, — განაცხადა გიორგი მამრიკიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშში, რომელიც მერიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვასა და განკარგვას შეეხება, ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის მიწის გადაცემის საკითხიც მოხვდა.

ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ კონკრეტულ აუქციონში მონაწილეობა მხოლოდ „ბი ეს არ — სი დი ჯი დეველოპმენტმა“ მიიღო, რასთან დაკავშირებითაც გარკვეული ეჭვია გამოთქმული. კერძოდ, აუდიტის სამსახურის აზრით, „არსებობს რისკი, რომ უკონკურენტო გარემოს ხელი შეუწყო აუქციონის პირობამ, რომლის მიხედვით აუცილებელი მოთხოვნა იყო მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანება. შედეგად, აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა და მერიამ დაკარგა დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა“.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ რადგან აუქციონი შემზღუდავი პირობით იყო გამოცხადებული, შედეგად ფარცხალაძის კომპანიისთვის აუქციონში დაწესებული საწყისი ფასის განსაზღვრა საბაზროზე ნაკლები ღირებულებით მოხდა.

# მეუფე შიო: „თუ მარხვა სიმდაბლის ნაცვლად ამპარტავნობად გექცა, ამას სჯობია, ყოველდღე ხორცი ჭამო“



— თუ მარხვა სიმდაბლის ნაცვლად ამპარტავნობად გექცა, ამას სჯობია, ყოველდღე ხორცი ჭამო!

ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოსაყდრემ, მეუფე შიომ, საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

მარხვის მნიშვნელობაზე საუბრისას მეუფემ ხაზი გაუსვა, რომ ეს ადამიანისთვის საიდუმლო უნდა იყოს. „უფალი ამბობს, როცა მარხულობ, ნუ ეჩვენები ადამიანებს, ანუ სხვების მოსაჩვენებლად ნუ აკეთებ ამას, არამედ საიდუმლო იყოს შენი მარხვა. მარხვა ინდივიდუალური რამ არის. ყველა ადამიანი არის თავისებური თავისი ჯანმრთელობით, ოჯახური პირობებით, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობებით. ამიტომ ეს არის ძალიან თავისებური რამ და ყველა თავისებურად მარხულობს.

ჩვენ არ უნდა განვიხილოთ, ვინ როგორ მარხულობს და მეც ჩემს მარხვაზე არ უნდა ვისაუბრო და ვიმსჯელო, თუ როგორ ვმარხულობ. მარხვა ეს არის ერთ-ერთი საშუალება სულის სიმდაბლის მოპოვების. თუკი სიმდაბლის ნაცვლად, მარხვა ამპარტავნობად გექცა, ამას სჯობია, ყოველდღე ხორცი ჭამო, ვიდრე ისე იმარხულო, რასაც არავითარი აზრი არ აქვს, — განაცხადა მეუფე შიომ.

მანვე განმარტა, რომ მარხვა არის იმისთვის, რომ ადამიანმა ცხოვრების მატერიალური ნაწილის შეზღუდვა შეძლოს. „შევიკავოთ თავი გარკვეული სახის სანახაობებისგან, გარკვეული სახის საკვებისგან, გარკვეული სახის წესებისგან, რაც სასუფევლისკენ სვლაში ხელს გვიშლის. უფრო მეტად განვამტკიცოთ ის, რაც სულიერია, — აღნიშნა მეუფე შიომ.

მან მიტევების მნიშვნელობაზე იქადაგა და მრევლს მიმართა, რომ თუკი ადამიანს მიტევების უნარი არ აქვს, ყველაფერი ფუჭი და ამაოა.

— ღვთის მიერ ცოდვათა მიტევება ეწოდება იმას, როდესაც სულიწმინდის მადლი მოდის ჩვენს სულში და ჩვენს ცოდვებს განწმენდს. ეს ვერ მოხდება, თუკი ჩვენ გულში ჩატოვებული გვექნება მიუტევებელი წყენა სხვა ადამიანის მიმართ. ამიტომ, თუკი გვინდა, რომ უფალს დავუახლოვდეთ და მარადიული სიცოცხლე დავიმკვიდროთ, უნდა ვეცადოთ, ეს გამოვასწოროთ, — განაცხადა მეუფე შიომ.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი კვირიკაშვილი: „ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და მიმდინარე მილიტარიზაცია დღესაც მნიშვნელოვანი პრობლემაა“



— ჩვენი ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და მიმდინარე მილიტარიზაცია დღესაც მნიშვნელოვანი პრობლემაა.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მიუნხენის უსაფრთხოების 54-ე კონფერენციის ფარგლებში სპეციალურად საქართველოსადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, საქართველოს ბოლოდროინდელი გამოცდილება წარმოადგენს შთამბეჭდავ ნიმუშს იმისა, რომ დემოკრატიული ტრანსფორმაცია და უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება შესაძლებელია რეგიონში, სადაც არსებობს გადაუჭრელი კონფლიქტები.

— საქართველოს წინაშე დღესაც დგას სერიოზული გამოწვევები უსაფრთხოების კუთხით, ასევე ჩვენი საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების 20%-ის ოკუპაცია და მიმდინარე მილიტარიზაცია, ხოლო ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირი დღესაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა არავინ არის დაზღვეული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეებისგან, რის გამოც ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩვენს ურთიერთობებს დასავლელ პარტნიორებთან, განსაკუთრებით ჩვენს ორმხრივ კავშირებს გერმანიასთან. ეს კავშირები ნაცადი და საიმედოა და მათი ფესვები უნდა ვეძებოთ პირველ გერმანულ დასახლებებში, რომლებიც საქართველოში ზუსტად ორი საუკუნის წინ აღმოცენდა. გერმანიამ წამყვანი როლი შეასრულა 100 წლის წინ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებაში. გერმანია დღესაც გადამწყვეტ როლს ასრულებს და გვევლინება საქართველოს სუვერენიტეტისა და განვითარების გარანტად, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

# როგორ აისახება აშშ-ირანის დაპირისპირება კავკასიაზე?

მარიამ მჭედლიშვილი

**ამერიკელმა ანალიტიკოსებმა ტრამპის გაპრეზიდენტებისთანავე არ გამორიცხეს სამხედრო კონფლიქტი აშშ-სა და ირანს შორის. მათი თქმით, თუ ეს მოხდა, კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდება სამხრეთი კავკასიის რეგიონი.**





ირანის მიმართ მწვავე განცხადებები გააკეთა ამ დღეებში გამართულ მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში ჰერბერტ მაკმასტერმა.

მან აღნიშნა, რომ ის, რასაც ირანი აკეთებს, არის „ჰესბოლას" მოდელის გამოყენება დიდ ახლო აღმოსავლეთში.

– მათ უნდათ, რომ არაბული სამყარო მუდმივად სუსტი იყოს. სურთ სუსტი მთავრობები ამ ქვეყნებში, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ირანის მხარდაჭერაზე. ამავდროულად, ირანი გამოზრდიდა ტერორისტულ ორგანიზაციებს, უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც იმოქმედებდნენ საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ მაშინ, როცა ეს ირანს დასჭირდებოდა, – განაცხადა მაკმასტერმა.

იგი გამოვიდა ირანის ინვესტორების წინააღმდეგ:

– როცა თქვენ ახორციელებთ ინვესტიციებს ირანში, აბანდებთ ფულს ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგებში.

ირანის მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა დაასახელა რუსეთი და ირანი. მისი თქმით, ირანის სავაჭრო პარტნიორებს შორის არიან ასევე იაპონია, სამხრეთი კორეა და გერმანია. მან მოუწოდა ამ სახელმწიფოებს, ბიზნესანალიტიკის საფუძველზე დაადგინონ, ვისთან აქვთ საქმე.

მაკმასტერის გამონათქვამები თეირანზე ომის სიგნალად მიიჩნია რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრმა ალექსეი პუშკოვმა:

– როგორც 5 წლის წინ აშშ ამზადებდა ომს და ყველა ცოდვაში ერაყს ადანაშაულებდა, ახლა ყველაფერში ირანს ადანაშაულებენ. ესაა ერაყის პრეცედენტის სახიფათო გამეორება: ჯერ საინფორმაციო კამპანია, შემდეგ – ომი.

ამას წინ უძღოდა ვითარების უარესად დაძაბვა სირიაში და ირან-ისრაელის შეჯახება.

ისრაელმა ჩამოაგდო ირანის უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც მის საჰაერო სივრცეში შეიჭრა, რასაც სხვა მოქმედებები მოჰყვა ისრაელის, ირანისა და სირიის მონაწილეობით. ვაშინგტონმა მაშინ ირანსა და მის მოკავშირეებს პროვოკაციების შეწყვეტისკენ მოუწოდა.

პასუხად თეირანის ხელისუფლებამ აშშ კიდევ ერთხელ გამოაცხადა თავის მთავარ მტრად და აღნიშნა, რომ „ისლამური სახელმწიფოს" სათავეებთან იდგა აშშ საუდის არაბეთთან ერთად, ირანმა კი არ დაუშვა, რომ ეს სენი გავრცელებულიყო ირანში, სირიასა და ერაყში.

ამ დღეებში ამერიკელმა ანალიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ ახლო აღმოსავლეთში ლიდერი ხდება ისრაელი, რომელიც შეეწინააღმდეგა ირანის მხრიდან თამაშის ახალი წესების შემოღებას.

ამერიკული მედია დღეს აცხადებს, რომ სირიაში სიტუაცია უფრო რთულდება. იქ ერთდროულად ბევრი ომი მიმდინარეობს. დიპლომატიურ ძალისხმევას შედეგი არ მოაქვს. ამ ვითარებაში გავლენას ვერცერთი მხარე ვერ მოიპოვებს. ყველა მოთამაშეს შეუძლია, მხოლოდ შეზღუდული გავლენა ჰქონდეს რეგიონში.

ვაშინგტონს, მისი შეფასებით, ახლო აღმოსავლეთში რამდენიმე მიზანი აქვს. ეს მიზნები კეთილშობილურია, მაგრამ ერთდროულად – მიუღწეველი. ესაა „ისლამური სახელმწიფოს" ბოლომდე განადგურება, ქურთებისთვის დახმარების გაწევა, თურქეთის მომადლიერება, ირანის შეკავება, ერაყის დაშლის დაუშვებლობა, ასევე პოლიტიკური შეთანხმების საფუძველზე ასადის წასვლის უზრუნველყოფა. მოსკოვს მიზანი უფრო მკაფიოა – სირიაში თავისი ყოფნის გარანტირება, სირიის საზღვაო და საჰაერო სამხედრო ბაზების შენარჩუნება.

რამდენიმე თვის წინ სირიაში დაწყებულმა პროცესებმა გამოააშკარავა, რომ პუტინი თავისი ამბიციური გეგმების რეალიზაციას ისე ვერ ახერხებს, როგორც ეს ჩაფიქრებული ჰქონდა.

# რატომ ითხოვენ მთიანი რეგიონების შემაერთებელი გზების მშენებლობის პროექტის შეჩერებას

გარემოსდამცველებმა, სამთო და საფეხმავლო გიდებმა სნო-ჯუთა-როშკა – შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობის პროექტის შეჩერების მოთხოვნით პეტიცია შეიმუშავეს. პეტიციაში ნათქვამია, რომ პროექტის მიხედვით, საავტომობილო გზა გადაკვეთს აქამდე ხელუხლებელ მთებს, ტყეებს, უღელტეხილებს, დაცულ ტერიტორიებს და მისი მშენებლობა გამოიწვევს მეწყრების, ღვარცოფებისა და ხანძრების ზრდას. ამასთან, პეტიციის ავტორთა მოსაზრებით, აღნიშნული გზის მშენებლობა მძიმე დარტყმას მიაყენებს სათავგადასავლო და ეკო ტურიზმს. დიდი თოვლის, მეწყრებისა და ღვარცოფების გამო კი გზის კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.



## პეტიცია

„საქართველოს მთავრობა (საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) გეგმავს აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობას. პროექტ „სნო - ჯუთა – როშკა – შატილი – ომალო – ხადორის ხეობა – ბაწარა – ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობის" მიხედვით, საავტომობილო გზა გადაკვეთს აქამდე ხელუხლებელ მთებს, ტყეებს, უღელტეხილებსა და ალპურ ველებს. ამის გამო გარდაუვალია პირველყოფილი ლანდშაფტების, ეკოსისტემების, ენდემური, რელიქტური და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების საბინადრო გარემოს დეგრადაცია და კატასტროფული სტიქიური მოვლენების, როგორიცაა მეწყრები, ღვარცოფები, ხანძრების ზრდა.

პროექტის განმახორციელებლები არც კანონმდებლობისა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას ერიდებიან და საავტომობილო გზის მშენებლობას ყაზბეგის, ფშავხევსურეთისა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებსა და დაგეგმილ „ზურმუხტის ქსელის საიტებზე" გეგმავენ. პროექტი მძიმე დარტყმას მიაყენებს საწყის ეტაპზე მყოფ სათავგადასავლო და ეკოტურიზმს; საცხენოსნო და საფეხმავლო ტურიზმს, სამთო ველოტურიზმს, ველარ განვითარდება ზამთრის სკი-ტურინგის მარშრუტები, თავშესაფარი ქოხები, სამთო ბანაკები და ა.შ.

დანიშნულებასა და იერს დაკარგავს სამთო-საბანაკე და ბუნების ღირსშესანიშნავი ადგილები: ჭაუხი, აბუდელაურის ტბები, ტურისტული სამთო ბილიკები, უღელტეხილები, მთის მდინარეები და სხვა.

სათავგადასავლო და ეკოტურიზმი ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების და დაცლისაგან გადარჩენის ერთადერთი საშუალებას წარმოადგენს. მოსახლეობა ბევრად მეტ შემოსავალს მიიღებს ბილიკების მარშრუტებით (ტურისტებს ბევრჯერ მოუწევთ გაჩერება მარშრუტზე), ვიდრე საავტომობილო გზაზე გადაადგილებული ტურისტებისგან.

დიდი თოვლის, მეწყრებისა და ღვარცოფების გამო გზის კარგ მდგომარეობაში შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. გზის მოვლა ძალზე დიდ დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს რესურსები ისეთ მნიშვნელოვან და გადაუდებელ საჭიროებებს მოაკლდება, როგორიცაა პენსიები, მასწავლებლების ხელფასები და მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება. ჩვენ, ასევე, გვაღელვებს შესაძლო ან არსებული ინტერესთა კონფლიქტი საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და გზის პროექტის დაგეგმვისთვის დაქირავებულ კომპანიებს შორის.

ხაზი უნდა გაესვას, რომ პროექტი გადაკვეთს ტერიტორიებს, რომლებსაც სხვადასხვა თემი ტრადიციულად ფლობდა და იყენებდა. საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებს ტრადიციულ და სათემო საკუთრებას და სახელმწიფო ამ ტერიტორიებს განიხილავს, როგორც სახელმწიფო საკუთრებას. შედეგად, გარდაუვალია კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასთან. კონფლიქტის მონაწილე გახდება მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც ამ ეტაპზე ლოიალურადაა განწყობილი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმართ, დროებითი დასაქმების ან სოფლებთან მისასვლელის გაუმჯობესების პერსპექტივის გამო.

იმისათვის, რომ დავეხმაროთ მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებლებს, ამავე დროს, შევინარჩუნოთ ბუნება, დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, დაგეგმილი პროექტის საუკეთესო ალტერნატივა იქნება კავკასიონის ხეობებში არსებული ჩრდილო-სამხრეთის დამაკავშირებელი გზების შეკეთება. ამასთან, აუცილებელია ამ სამუშაოების შეთავსება მთიანი რეგიონის მდგრადი განვითარების გეგმებთან, რაც უზრუნველყოფს მაღალმთიანი რეგიონების მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის დაბრუნებას, ტრადიციული ყოფისა და ბუნებრივი სილამაზის შენარჩუნებას.

მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, შეაჩეროს ეს დამანგრეველი პროექტი. მოვითხოვთ, რომ ორჰუსის კონვენციის შესაბამისად, საჯარო განხილვის საგანი გახდეს არა პროექტის ცალკეული ნაწილები, არამედ მთელი პროექტი (სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის გზის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის პროექტი) – როგორც სტრატეგიული გეგმა. გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებულ იქნეს არა ძველი, 2018 წლის 1 იანვრამდე მოქმედი ნორმების, არამედ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, რომელიც მომზადდა ევროკავშირის დირექტივების მიხედვით და ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან".

## პროექტის შესახებ

მაღალმთიანი რეგიონების დამაკავშირებელი გზების მშენებლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 2016 წლის 11 აგვისტოს, თუშეთში ყოფნისას განაცხადა: „თუშეთს გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის თვალსაზრისით. ჩვენ უკვე დაწყებული გვაქვს ტენდერი გზის პროექტირებაზე, რომელიც აუცილებლად აშენდება და იქნება საქართველოს დედაქალაქიდან თუშეთამდე მიმავალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების გზა იმისათვის, რომ ყველა ტურისტმა უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახერხოს თუშეთში ამოსვლა. ძალიან მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების შემაერთებელი გზები, რაზედაც ასევე ვმუშაობთ. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ამ მხარის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება".

მთიანი რეგიონების შემაერთებელმა საავტომობილო გზამ ყაზბეგის, დუშეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე უნდა გაიაროს. გზა სოფელ სნოდან იწყება (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი), გაივლის ჯუთას, შემდეგ როშკაში უნდა გადავიდეს (პირაქეთა ხევსურეთში, არხოტისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელი), როშკადან უკავშირდება შატილს (პირიქითა ხევსურეთის ადმინისტრაციული ცენტრი), შატილიდან გზა მუცო-არდოტის ხეობის და აწუნთას უღელტეხილის გავლით თუშეთში გადადის. ამავე დროს, პროექტი ითვალისწინებს გზის გაჭრას ხადორის ხეობიდან (პანკისი) თუშეთის მიმართულებით. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის, გიორგი სეთურიძის განცხადებით, პანკისიდან თუშეთში ავტომობილით ასვლა ზამთარშიც გახდება შესაძლებელი.

სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის საავტომობილო გზა ხორვატიულმა კომპანიამ („სს ინსტიტუტი იგჰ, სააქციო საზოგადოება სამოქალაქო მშენებლობის კვლევებისა და განვითარების საკითხებში") დააპროექტა. აღნიშნული ორგანიზაცია ხორვატიაში დაფუძნებული ამავე სახელწოდების კომპანიის ქართული ფილიალია და 2016 წლის 26 სექტემბერს არის დარეგისტრირებული. სამუშაოების შესრულებისთვის მას 4 986 600 ლარი გადაერიცხა. ტენდერში მეორე კომპანიაც მონაწილეობდა, თუმცა მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია გზების დეპარტამენტის კომისიამ საკონკურსო მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნია და დისკვალიფიცირებულ იქნა.

გიორგი სეთურიძის ინფორმაციით, გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაახლოებით 140 მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება. გზა მაღალი გამავლობის მანქანებისთვის იქნება განკუთვნილი და მისი მშენებლობა, წინასწარი გათვლებით, 2020 წლამდე უნდა დასრულდეს.

სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტის საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტის ცალკეული ნაწილების საჯარო განხილვა 20-21 თებერვალს ახმეტასა და დუშეთში გაიმართება.

რეგინფო

# „ტაქსებზე რეგულაციების შემოღება აუცილებელია“




– ტაქსებზე რეგულაციების შემოღება არსებული ქაოსური მოძრაობის დასარეგულირებლად აუცილებელია.

ამის შესახებ ტრანსპორტის პროფკავშირის ხელმძღვანელი ლავრენტი ალანია რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს.

თბილისის მერია ტაქსების რეგულირებაზე მუშაობს. ცვლილებები ეტაპობრივად განხორციელდება, პირველ ეტაპზე მოხდება ტაქსების რეგისტრაცია, დადგინდება რეგისტრაციის საფასურიც.

– რეგულაციები არ ნიშნავს იმას, რომ ვინმე უმუშევარი დარჩეს. ამიტომ ამას უნდა სწორად განსაზღვრა და მივესალმები, რომ ხდება სტატისტიკური ასახვა. უნდა მოხდეს იმის დადგენა, რამდენი ადამიანია დასაქმებული ამ სფეროში, ამისთვის საჭიროა დარეგისტრირება.

ჩვენ გვაქვს სამი ტიპის დასაქმება ამ სექტორში: არიან ადამიანები, რომლებიც ქირაობენ მანქანას კომპანიისგან, ადამიანები, რომლებიც საკუთარი ავტომობილებით ტაქსაობენ და ადამიანები, რომლებიც სხვაგანაც მუშაობენ და პარალელურად საღამოს საათებში ამ საქმიანობით არიან დაკავებული.

აქ არ გვჭირდება უცხოური გამოცდილება, უნდა შეიქმნას ჩვენს ქვეყანაზე მორგებული რეგულაციები. გვაქვს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და აქედან გამომდინარე ორი თვითდასაქმების პერსპექტივა რჩება მოქალაქეს: ეს არის ვაჭრობა და ტაქსაობა, – განაცხადა ტრანსპორტის პროფკავშირის ხელმძღვანელმა.

ლავრენტი ალანიას თქმით, დაუშვებელია გაუმართავი ავტომობილები მუშაობდნენ ტაქსებზე. თუმცა გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი.

– 2018 წლიდან შემოდის ტექდათვალიერება და ეს დაარეგულირებს იმას, რომ გაუმართავი ავტომობილით არ იტაქსაონ. მაგრამ საქართველო ერთადერთი ქვეყანა დარჩა მსოფლიოში, სადაც მგზავრების გადასაყვანად იყენებენ მარჯვენასაჭიან ავტომობილებს და ე.წ. მინივენებს, რომლებიც აუცილებლად უნდა აიკრძალოს მგზავრების გადასაყვანად, – ამბობს ლავრენტი ალანია.

მისი განცხადებითვე, დღეს დაუდგენელია, რეალურად რამდენი ადამიანია დასაქმებული ტაქსის ბიზნესში. მისივე მტკიცებით, ფასიანი რეგისტრაციის შემოღება ტაქსების მომსახურებას არ გააძვირებს.

– ფასიანი რეგისტრაციის შემოღება არ გააძვირებს მომსახურებას, რადგან მათ არაფერი აქვთ ახლა გადასახდელი და სიმბოლური გადასახადი, რომელიც დაწესდება, ისევ მათ კომფორტზე იქნება ორიენტირებული, შესაბამისად, მათ უღირთ მიზერული თანხის გადახდა, – აცხადებს ტრანსპორტის პროფკავშირის ხელმძღვანელი.

იმისთვის, რომ სამუშაო ადგილები არ შემცირდეს, საჭიროა, ტაქსის მფლობელებს დრო მიეცეთ.

– თუ ამ ადამიანებს დროს არ მივცემთ, იქნება შემცირება, მაგრამ მათ დრო აქვთ იმისთვის რომ ავტომანქანები მოაწესრიგონ ეტაპობრივად. როგორც მე მოვისმინე, ნებართვა ყველასთვის გაიცემა, მაგრამ მეორე ეტაპის წესები და რეგლამენტები უნდა შეიმუშაოს მერიამ, – ამბობს ალანია.

# რატომ გაძვირდა ხილი?

2018 წლის იანვარში ინფლაციამ 4,3% შეადგინა. ფასები ძირითადად ხილზე გაიზარდა. აქ ინფლაციის დონე 9,8% იყო. ხილის გაძვირებას მოვაჭრეები და იმპორტიორები რამდენიმე მიზეზით ხსნიან, მათ შორის, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე დაწესებული გადასახადის გრაფიკს და ვადებს ასახელებენ.

კანონის შესაბამისად, იმპორტიორი ვალდებულია, რომ გადასახადის გადახდა საქონლის გაშვებამდე მოახდინოს.

თბილისის ერთ-ერთ აგრარულ ბაზარში ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრე ნანა გვასალია ამბობს, რომ წელს პროდუქტს ძვირად ყიდულობს, შესაბამისად, მინიმალურ მოგებაზე მუშაობს:

– ხილის გაძვირებას ზოგი ფაროსანას, ზოგი ცუდ მოსავალს აბრალებს. მაგრამ ჩემთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? ფაქტია, რომ ჩემი პატარა ბიზნესი გასულ წელს უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე წელს არის.

– წელს საქართველოში ხილის ცუდი მოსავალი იყო და ჩვენს ბაზარზე ძირითადად, იმპორტირებული პროდუქცია იყიდება. იმპორტი კი ძვირია, რადგან მთლიანად არის დამოკიდებული ვალუტის კურსზე.

ადგილობრივ წარმოებას და ექსპორტს საქართველოში ხელს არ უწყობენ და შედეგიც შესაბამისი გვაქვს, – აღნიშნა შპს „ფრუიტილიას“ დამფუძნებელმა ვახო ბეჟიტაშვილმა.

შოთა გელაძე კი აცხადებს, რომ ამ ბიზნესში ჩართულ ადამიანებს უამრავი უსამართლობისა და დაბრკოლების გადალახვა უწევთ.

– ხილი გაძვირდა იმიტომ, რომ გლეხებსაც და ექსპორტიორებსაც აბსურდულ საბუთებს სთხოვენ და ბიუროკრატიული წნეხის ქვეშ ატარებენ. საბუთების გაცემაზეც გვაწვალებენ და დროულად არ გვაძლევენ. რაც შეეხება იმპორტს, ტვირთის განბაჟებას, სულ მცირე, 2-3 ათასი ლარი სჭირდება. კანონით დადგენილ 5 დღესაც არ გვაცლიან, რომ რეალიზაცია მოვასწროთ და გადასახადი მერე გადავიხადოთ. იმპორტიორს იმდენი ფული უნდა ჰქონდეს, რომ პროდუქციაც შეისყიდოს, აქამდე ჩამოიტანოს, მერე განბაჟებაც გააკეთოს და გადასახადიც მაშინვე გადაიხადოს... არადა, კანონში წერია, რომ 5-დღიანი ვადა გვაქვს.



ჩვენ კი, რატომღაც, საზღვარზევე გვაიძულებენ, დღგის გადასახადი გადავიხადოთ, თუ არ გადაიხდი, განბაჟებას გაგიჭიანურებენ და პროდუქცია გაგიფუჭდება.

სააკაშვილის მთავრობის მოტრფიალე მე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ მაშინ ასეთი რამ არ ხდებოდა. ახლა კი რა ხდება? საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები ბიზნესმენებს მილიონიან ჯარიმებს უწერენ. ირანელებს, თურქებს, აზერბაიჯანელებს არავინ ეკარება, ჩვენ კი არ გვინდობენ. ყველაფერს ლარის კურსს და ფაროსანას აბრალებენ, მაგრამ მარტო ლარის კურსი აქ არაფერ შუაში არ არის, – აცხადებს შოთა გელაძე.

მართალია, კანონის მიხედვით, დღგ-ს გადასახადს იმპორტიორი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღეში იხდის, თუმცა განსხვავებული წესი მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემთხვევაში. აქ იმპორტის გადასახადის გადახდა წარმოებს საქონლის გაშვებამდე. ამ წესს არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის 290 ბრძანებულება.

# „ეფლი“, „გუგლი“, „თურქული ავიახაზები“ — ცნობილი კომპანიები, რომელთა აქციონერიც ბიძინა ივანიშვილია

– 2017 წლის 27 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ქონება 5.80 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

ამის შესახებ ინფორმაცია „ბლუმბერგის“ 2017 წლის მილიარდერების სიაშია მოცემული, რომელშიც ივანიშვილი 307-ე ადგილზეა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის ქონება 350 მილიონი დოლარით გაიზარდა, 2013 წელთან შედარებით კი შემცირდა. კერძოდ, 2013 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით, მისი ქონება 6.80 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

ბიძინა ივანიშვილი მიწებს ფლობს თბილისში, მცხეთაში, საჩხერეში, ოზურგეთსა და ბორჯომში. მოსკოვში, ოდენცოვის რაიონში მდებარე



1.060 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი კი მის მეუღლეს, ეკატერინა ხვედელიძეს ეკუთვნის.

რაც შეეხება ბიზნესებს, ბიძინა ივანიშვილი არის ისეთი დიდი და ცნობილი კომპანიების აქციონერი, როგორიცაა: „ფოლკსვაგენი“ (2013 წლის მონაცემებით, მას 2.722 ფასიანი ქაღალდი ჰქონდა), „გოლდმან საქსი“ (253.551 აქცია), „ეფლი“ (2.400 აქცია), „გუგლი“ (1.100 აქცია), „დოიჩე ბანკი“ (20.000 აქცია), „როლს როისი“ (6.020.000 აქცია), „თურქული ავიახაზები“ (300.000 აქცია).

ბიძინა ივანიშვილს უძრავ ქონებაში ჯამში 45 მილიონი დოლარი აქვს დაბანდებული, ხოლო მისი ხელოვნების ნიმუშების პირადი კოლექცია ღირებულებით მილიარდ დოლარს უტოლდება.

# ვასო ურუშაძე: „თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა ყირამალას ჰგავს“

კახა კალაძის მიერ დაანონსებულ რეორგანიზაციას ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე ვასო ურუშაძე ეხმაურება.

როგორც ცნობილია, თბილისის მერიაში სტრუქტურული ცვლილებები და, კერძოდ, სხვადასხვა სამსახურის რეორგანიზაცია უკვე განხორციელდა და მომავალშიც განხორციელდება.

ვასო ურუშაძის განცხადებით, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი დედაქალაქში არსებულ საცობებზე, არ იყო ჩართული დაგეგმარების პროცესში და არც რეორგანიზაციის შედეგად იქნება.

– მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ მომავალში, სანამ კეთილმოწყობის სამსახური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობას დაიწყებს, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ამის შესახებ წინასწარ იქნება ინფორმირებული, ანუ საქმის კურსში ჩააყენებენ. დღემდე კეთილმოწყობის სამსახური საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ისე გეგმავდა და ახორციელებდა, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს საქმის კურსშიც კი არ აყენებდა. ეს იგივეა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ყიდულობდეს სამხედრო შეიარაღებას ისე, რომ თავდაცვის სამინისტრო არ იყოს წინასწარ ინფორმირებული, – აცხადებს ურუშაძე.

მას უჩნდება შეკითხვა, რის საფუძველზე და რაზე დაყრდნობით გეგმავდა და გეგმავს კეთილმოწყობის სამსახური საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რით ხსნიან ამის საჭიროებას, რა გათვლებს ეფუძნება, ან საერთოდ აქვთ თუ არა რაიმე წინასწარი გათვლები გაკეთებული – ამას ხომ ტრანსპორტის სამსახური უნდა აკეთებდეს, რომელიც ინფორმირებულიც კი არ იყო, ჩართულობაზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

– აქვე ჩნდება ლოგიკური შეკითხვა, რის საფუძველზე გვპირდებოდნენ პერიოდულად დედაქალაქის მერები საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, ესტაკადების და ხიდების მშენებლობით საცობების პრობლემის მოგვარებას? თუ ეს არანაირ გათვლებსა და გაანგარიშებებს არ ეფუძნებოდა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, რომელიც პირდაპირ არის პასუხისმგებელი საგზაო მოძრაობის ორგანიზებაზე და საცობებზე ქალაქში, არ იყო ჩართული დაგეგმარების პროცესში, – აცხადებს ურუშაძე.

მისივე შეფასებით, რეორგანიზაციის შედეგად სატრანსპორტო მიმართულებით ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების ილუზია არ უნდა გვქონდეს.

– თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა ყირამალას ჰგავს, კეთილმოწყობის სამსახური გეგმავს ინფრასტრუქტურას, მაგრამ არ იცის, რატომ, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ტრანსპორტის განვითარების პოლიტიკის სამსახურს ქმნის და ჯერ დაუდგენელია, რა ფუნქცია ექნება ურბანული



განვითარების საქალაქო სამსახურს. თბილისის მერიაში რატომღაც ცდილობენ, ყველაფერი თავდაყირა დააყენონ.

სატრანსპორტო პოლიტიკის ნაწილში ანალოგიური მდგომარეობაა აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზეც, ვინ, რას და რისთვის გეგმავს გაუგებარია, რასაც მივყავართ გაუაზრებელ გადაწყვეტილებებამდე.

ამ ფონზე, სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტულობაზე საუბარი ზედმეტია და ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ ქალაქში არსებული პრობლემები მოგვარდება, – აღნიშნავს ვასო ურუშაძე.

თუ თბილისის მერიას მართლაც აქვს ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების სურვილი, მან უნდა დაიწყოს ინსტიტუციური და ადმინისტრაციულ-სტრუქტურული პრობლემების მოგვარება, რეორგანიზაციის ფარგლებში, კეთილმოწყობისა და ტრანსპორტის საქალაქო სამსახური ფორმულირდეს ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამსახურად, რომელსაც ექნება ერთიანი ტრანსპორტის განვითარების პოლიტიკა, პრიორიტეტები, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

– ამ ცვლილებების შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ რეალური დისკუსია მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და გასატარებელ ღონისძიებებზე, მანამდე, უბრალოდ, ერთ წრეზე ვიტრიალებთ, – აცხადებს ვასო ურუშაძე.

# შსს-მ ბათუმში ზვიად სალთხუციშვილისა და გიორგი ხაჭაპურიძის მკვლელობის საქმე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და აჭარის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი ან მეტი პირის დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული რ.ბ. და 1997 წელს დაბადებული ნ.ბ. დააკავეს.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 13-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა 2017 წლის 5 აგვისტოს, ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, კისრის არეში ხელის მოჭერითა და სასუნთქი გზების გადაკეტვის გზით, 1988 წელს დაბადებული გ.ხ. და 1998 წელს დაბადებული ზ.ს, მოკლეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა რ.ბ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში, ხოლო ნ.ბ. თბილისში დააკავეს.

გამოძიება ორი ან მეტი პირის დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

ზვიად სალთხუციშვილი და გიორგი ხაჭაპურიძე აგვისტოში ბათუმში დასასვენებლად იმყოფებოდნენ, სადაც ისინი ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილები იპოვეს.

* * *

ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში, 2 ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი 2017 წლის 8 აგვისტოს იპოვეს.

თავიდან გავრცელდა ვერსია, რომ მომხდარის მიზეზი ნარკოტიკებით ინტოქსიკაცია გახდა, ამბობდნენ იმასაც, რომ ახალგაზრდების გარდაცვალება შეიძლებოდა, „ბიოს“ მოხმარებას გამოეწვია. თუმცა ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ არცერთი მათგანი ნარკოტიკს არასდროს მოიხმარდა. ისინი ვარაუდობდნენ, რომ მამაკაცები მოკლული იყვნენ.




– ვიცოდი, რომ ბათუმში დასასვენებლად ერთი თვით იყვნენ წასული, გიორგი და ზვიო ძალიან მეგობრობდნენ. როგორც ვიცი, ორივე ცალ-ცალკე ოთახში იპოვეს, – აღნიშნავდა გარდაცვლილთა მეგობარი.

მისივე თქმით, სიმართლეს არ შეესაბამებოდა სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია, რომ გიორგი ხაჭაპურიძე საშიში ინტერნეტ თამაშის, „ლურჯი ვეშაპის“, აქტიური მომხმარებელი იყო.

– ეს როლი გიორგიმ ერთ-ერთი ცნობილი გადაცემისთვის მოირგო. როგორც ვიცი, ის აღნიშნულ თამაშს არ თამაშობდა, – ამბობდა ხაჭაპურიძის ახლო მეგობარი.

– იმედია, გამოძიება ობიექტური გამოძიების შედეგს დადებს, მანამდე კი მე მკვლელობის ვერსიისკენ უფრო ვიხრები, ვიდრე უბედური შემთხვევის, – აცხადებდა „ნიუპოსტთან“ გარდაცვლილთა მეგობარი.

მისი თქმით, გიორგის ვიღაც აშანტაჟებდა:

– მან ამის შესახებ სოციალურ ქსელშიც კი დაწერა და შესაბამის ორგანოებს მიმართა, დეტალები არ ვიცი, მაგრამ საქმე შანტაჟთან გვქონდა.

შემთხვევის ადგილზე 8 აგვისტოსვე გავრცელდა ვერსია, რომ ახალგაზრდა მამაკაცები მოკლული იყვნენ და ცხედრებს ძალადობის კვალი აღენიშნებოდათ.

## გურჯაანში მშენებლობიდან 26 წლის მამაკაცი გადმოვარდა

გურჯაანის სპირტის ქარხანაში მიმდინარე მშენებლობიდან 26 წლის დათო ოდიკაძე გადმოვარდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა.




უბედური შემთხვევა იმ დროს მოხდა, როცა ის შემდუღებლებს სპეციალურ ელექტროსადენებს აწვდიდა.

დაღუპულის ოჯახი ვარაუდობს, რომ უსაფრთხოების ზომები დაცული არ იყო, რასაც ქარხნის დირექტორი კატეგორიულად უარყოფს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება უსაფრთხოების წესის დარღვევის მუხლით მიმდინარეობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## შსს-მ დანაშაულის პრევენციის მიზნით უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 5-17 თებერვალს სვანეთში, კახეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელოში და თბილისში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოიღეს: ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „კალაშნიკოვი“, 2 მცირეკალიბრიანი შაშხანა, 6 პისტოლეტი, 3 სანადირო თოფი, 2 ე.წ. აბრეზი, 602 სხვადასხვა კალიბრის საბრძოლო ვაზნა და 6 მჭიდი. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე პასუხისგებაში 15 პირი მიეცა.

გამოძიება საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეებმა სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობები და საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით წარუდგინეს პოლიციას. სულ ჩაბარებულია: 3 გადაჭრილი სანადირო თოფი, 19 ხელყუმბარა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 3 მჭიდი, სხვადასხვა სახის იარაღისთვის განკუთვნილი 258 ვაზნა და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. აღნიშნული პირები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებიან.

## საგარეჯოში 34 წლის მამაკაცი მოკლეს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმითთან მდებარე მეცხოველეობის ფერმაში 34 წლის მამაკაცი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ნათესავმა სანადირო თოფიდან გასროლით მუცლის არეში სასიკვდილოდ დაჭრა.




დაჭრილი გურჯაანის საავადმყოფოში მიყვანიდან მალე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაზლარში დააკავეს. ეჭვმიტანილიც და მოკლულიც აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან. ამოღებულია სანადირო თოფი. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით დაიწყო.

## თელავი-გომბორის გზაზე ბენზინმზიდი აფეთქდა

თელავი-გომბორის გზაზე, სოფელ კობაძესთან, საწვავით დატვირთული ბენზინმზიდი გზიდან გადავარდა და ცეცხლი გაუჩნდა.



მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. მძღოლმა ალმოდებული მანქანიდან გადმოსვლა მოასწრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს.

## ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავი გემი ზღვის დაბინძურებისთვის დააჯარიმეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ბულგარეთის დროშის ქვეშ მცურავმა გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.



გემმა ბათუმის ნავსადგურში ნავთობპროდუქტების შემცველი წყლებით ზღვა დააბინძურა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ გემის კაპიტანს 65.000 ლარის ოდენობით საჯარიმო სანქცია დააკისრა, რასაც დაემატა გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხა – 1.078 ლარის ოდენობით.

გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს საჯარიმო სანქციებისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ დატოვებს.

## ბიზნესმენ ჩხაიძეების მამას სახლიდან სათვალთვალო კამერის ჩამწერი მოპპარეს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში ბიზნესმენი ძმების მამის, ზაურ ჩხაიძის, სახლიდან სათვალთვალო ვიდეოს ჩამწერი მოიპარეს. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა.

წასაღებად გამზადებული იყო ელექტროტექნიკა, თუმცა, სანამ მის წაღებას მოახერხებდნენ, ოჯახის უფროსმა პოლიციას მომხდარის შესახებ შეატყობინა.

– როგორც ჩანს ელექტროტექნიკა წასაღებად ჰქონდათ გამზადებული, მაგრამ ვერ მოასწრეს. ვიდეოთვალია დაზიანებული და მოპარულია სათვალთვალო კამერების ჩამწერი. ეს არ არის ბიზნესმენი ძმების სახლი, ის სახლი დაცვაზეა. მამა გვერდით სახლში ცხოვრობს და იმის გაქურდვა მოინდომეს, როგორც ჩანს, – განაცხადა ჩხაიძის მეზობელმა.

შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, მომხდარზე გამოძიება 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს.

## ოზურგეთში მარტოხელა პენსიონერს ბინა დაეწვა

ოზურგეთში, ხუთსართულიანი კორპუსის მეოთხე სართულზე, ხანძარმა საცხოვრებელი ბინა გაანადგურა. ცეცხლი მარტოხელა დარიკო კვირჩილაძის ბინაში გაჩნდა. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძრის გაჩენის მიზეზად ადგილზე გაზის ბალონის აფეთქებას ასახელებენ.

ხანძრის შედეგად განადგურებულია საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. მარტოხელა ქალი ღია ცის ქვეშ დარჩა. ადგილზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე იმყოფებოდა. მისი განცხადებით, მერია დაზარალებულს ყველა საჭირო დახმარებას გაუწევს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მიუნხენში დონბასზე ვერაფერი გადაწყდა

მიუნხენში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ევროპაში უსაფრთხოების საკითხებზე. ყურადღების ცენტრში დონბასის მოვლენები იყო.

კონფერენციის წინ დონბასში მდგომარეობა დაიძაბა. ე.წ. ლუგანსკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ანატოლი ანტონოვმა გააკეთა განცხადება, რომ უკრაინელები ფართომასშტაბიან შეტევას ამზადებენ.

– დიდ ომს ერთ ნაბიჯი გვაშორებს, – თქვა ანტონოვმა.

კონფერენციაზე რუსეთის დელეგაცია ევროპაში დიდი ომის საფრთხეს გულმოდგინედ უსვამდა ხაზს და პირდაპირ აცხადებდა: გინდათ, ეს თავიდან აიცილოთ? მაშინ უკრაინაზე ზეწოლა განახორციელეთ, რათა მინსკის შეთანხმებები შეასრულოს, დონბასს განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭოს და ადგილობრივი არჩევნები რაც შეიძლება სწრაფად ჩაატაროს.

– სამშვიდობო შეთანხმებებს უკრაინა არღვევს, სანქციებს კი უწესებენ რუსეთს, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს! ეს მხოლოდ ესკალაციას უწყობს ხელს, – განაცხადა რუსეთის წარმომადგენელმა კოსაჩოვმა.

კონფერენციაზე აშშ-ის სპეცწარმომადგენელი დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხში კურტ ვოლკერიც გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ დონბასში ურთულესი მდგომარეობა შეიქმნა, რაზეც






პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება.

– რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები დონბასიდან, მათ მაგივრად კი იქ გაეროს სამშვიდობო კონტინგენტი ჩადგეს, – თქვა ვოლკერმა.

ამაზე რუსეთის საგარეო მინისტრმა ლავროვმა აღნიშნა, რომ რუსეთი დონბასიდან ჯარს ვერ გაიყვანს, რადგან იქ მისი მეომრები არ იმყოფებიან. ლავროვმა ძველი თეზისი გაიმეორა, რომ დონბასში მიმდინარე კონფლიქტი უკრაინის შიდა კონფლიქტია, უკრაინა მშვიდობიანი მოქალაქეების გენოციდს ახორციელებს და საერთაშორისო საზოგადოებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ლავროვის გამოსვლამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

დასავლეთის ლიდერთა პოზიცია მტკიცე იყო: რუსეთმა დონბასიდან ჯარი უნდა გაიყვანოს და მთელ რეგიონში გაეროს სამშვიდობო კონტინგენტის ჩაყენებას დაჰყაბულდეს.

რუსული დელეგაცია ამას უარყოფითად შეხვდა. შედეგი არც რუსეთ-უკრაინის საგარეო მინისტრების, არც ნატოს გენერალური მდივნისა და რუსეთის საგარეო მინისტრის შეხვედრებმა გამოიღეს.

– ჩვენ ვერაფერზე მოვილაპარაკეთ, – განაცხადა უკრაინის საგარეო მინისტრმა კლიმკინმა.

ჩაიშალა შეხვედრა ნორმანდიულ ფორმატში (რუსეთი-უკრაინა-გერმანია- საფრანგეთი). მიუნხენის კონფერენციამ აჩვენა, რომ რუსეთი დიალოგისთვის მზად არ არის. შეხვედრის ჩატარებაც უაზრობა იქნებოდა.

## ირანში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

### ყველა მგზავრი დაიღუპა

გუშინ, 18 თებერვალს, ირანში სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელიც თეირანიდან იასუჯში მიფრინავდა, კატასტროფა განიცადა. ავიაკატასტროფა ისპაანის პროვინციაში მოხდა.



თვითმფრინავში 66 მგზავრი იმყოფებოდა, მათ შორის, 1 ბავშვი. ყველა მგზავრი დაიღუპა.

აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ავიაკომპანიამ, რომელსაც თვითმფრინავი ეკუთვნის.

## ისრაელში თავდაცვის მინისტრ ლიბერმანზე თავდასხმა აღკვეთეს

ისრაელის უსაფრთხოების ძალებმა აღკვეთეს ტერაქტი, რომლის სამიზნე ისრაელის თავდაცვის მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი იყო.



ტერაქტს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური ჯიჰადი" ამზადებდა. მისი მებრძოლები ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებას მინისტრის კორტეჟის გზაზე გეგმავდნენ.

ისრაელის უსაფრთხოების სამსახურმა „შაბაკმა" 6 პირი დააკავა. დაკავების ოპერაციაში ჩართულნი იყვნენ ისრაელის თავდაცვითი ძალების სამხედროები და პოლიციელები.

აღნიშნული დაჯგუფების გამოვლენა და დაკავება ბოლო კვირის განმავლობაში მოხდა, ხოლო ინფორმაციის გასაჯაროების ნებართვა გუშინ გაიცა.

## მიულერმა რუსეთის 14 მოქალაქეს ბრალი წაუყენა

სპეცპროკურორმა მიულერმა, რომელიც აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევის საქმეს იძიებს, რუსეთის 14 მოქალაქეს ბრალი წაუყენა. მიულერი ამტკიცებს, რომ ისინი აშშ-ზე კიბერშეტევებში მონაწილეობდნენ.




მიულერის მიერ შედგენილ საბრალდებო აქტში ისეთი რუსული სტრუქტურები ფიგურირებენ, როგორებიცაა „კონკორდ მენეჯმენტი" და „კონკორდ კეიტერინგი". მათი მფლობელი სანკტპეტერბურგელი ბიზნესმენი ევგენი პრიგოჟინია. ის პუტინის დაახლოებულთა წრეს განეკუთვნება. ბრალდებულებს შორის მოხსენიებულნი არიან სხვა მსხვილი ბიზნესმენებიც, რომლებიც ასევე პუტინის დაახლოებულთა წრეს ეკუთვნიან: მიხეილ ბისტროვი, ალექსანდრა კრილოვა, ანა ბოგაჩოვა, ჯეიჰუმ ნასიმ ოღლი და ა.შ.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ კიბერშეტევები აშშ-ის წინააღმდეგ 2014 წელს დაიწყო, ანუ საარჩევნო კამპანიამდე ბევრად ადრე.

პრეზიდენტმა ტრამპმა მიულერის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა. მან აღნიშნა, რომ ახლა საფუძველსაა მოკლებული ბრალდება, რომ რუსებსა და ტრამპს შორის საიდუმლო გარიგება არსებობდა.

– კიბერშეტევები აშშ-ის წინააღმდეგ ჩემგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა! სამწუხაროდ, ობამას ადმინისტრაცია ამის თაობაზე დუმილს ამჯობინებდა! მე ასე არ მოვიქეცი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კრემლთან არავითარი გარიგებები არ მაკავშირებს, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა მაკმასტერმა მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ბრალდება რუსების მიერ აშშ-ზე კიბერშეტევების ორგანიზების შესახებ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს.

– სამხილი, რომელიც რუსების ბრალეულობას ადასტურებს, უტყუარია! – თქვა მაკმასტერმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამ სიტყვებს უკიდურესი გაღიზიანებით შეხვდა. მან განაცხადა, რომ მაკმასტერმა ბრალდების დამადასტურებელი ვერცერთი ფაქტი ვერ მოიყვანა.

– მაპატიეთ არადიპლომატიური გამონათქვამები, მაგრამ აშშ-ის წარმომადგენლის მიერ რუსეთის მიმართ გამოთქმული ბრალდება ცარიელი ბჟუტურია, – თქვა ლავროვმა.

## პოლონეთ-ისრაელს შორის დაპირისპირება გრძელდება

პოლონეთ-ისრაელს შორის დაპირისპირება გრძელდება.

ამის მიზეზი პოლონელთა პრემიერ მორავეცკის უკანასკნელი განცხადება გახდა:

– ისრაელი კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ ჰოლოკოსტში ვინმეს დაადანაშაულებდეს! არსებობს ფაქტები, რომლებიც ჰოლოკოსტში თავად ებრაელი მოქალაქეების მონაწილეობასაც ადასტურებს!

ამ გამოსვლამ ისრაელში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

პრემიერი ნეტანიაჰუ თავის პოლონელ კოლეგას ვალში არ დარჩა.

– მსურს, მორავეცკის ვუთხრა: უვიცი, ტლუ და აგრესიული ხულიგანივით ლაპარაკობ! – თქვა მან.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## მალამო „მენტორი პირველი"

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# რუსთავი დროებით გალიდერდა

**რუსთავი-დინამო 80:74**
**(17:14, 18:26, 16:20, 29:14)**

საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს ცხრილის სამეულის წევრები – რუსთავი და დინამო შეხვდნენ. მატჩს ქვემოქართლელებმა ქიმიკოსთა დარბაზში უმასპინძლეს და სავსე ტრიბუნების თვალწინ მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვეს – 80:74.

გასული სეზონის ჩემპიონი და მიმდინარე სუპერლიგის მიმდინარე სეზონის მძლავრად დამწყები დინამო დაკარგული ქულებით რუსთავს ჩამორჩებოდა და მატჩში გამარჯვება ამ დეფიციტის აღმოსაფხვრელად სჭირდებოდა. თავის მხრივ, რუსთაველებს მოგება ცხრილში მეორე ადგილს უმყარებდა და დინამოსთან სხვაობას 2 მოგებით ზრდიდა.

მატჩი უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საწყისმა 4-მა წუთმა ისე ჩაიარა, ანგარიში არ გახსნილა. შემდეგ გუნდებმა ქულების ხვეჭა მორიგეობით იწყეს და მათ შორის სხვაობა 3-4 ქულას არ სცდებოდა. პირველი პერიოდი რუსთაველებმა 17:14 მოიგეს, თუმცა მეორეში მეტოქემ აჯობა და დიდ შესვენებაზე უკვე დინამო გალიდერდა – 40:34.

მთავარი ამბებიც შემდეგ მოხდა. მესამე პერიოდში დინამოელებმა დაცვისა და სწრაფი, ზუსტი შეტევების შედეგად 14-ქულიან ლიდერობას მიაღწიეს. რუსთაველები დროულად გამოერკვნენ და პერიოდის ბოლომდე ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს. გადამწყვეტი მეოთხედი მასპინძლებმა კიდევ უფრო შედეგიანად დაიწყეს – შორი სროლების შედეგიანად გამოყენების შედეგად ქვემოქართლელებმა ჩამორჩენა გაქვითეს. საფინალო სირენამდე 6 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა – 64:64, რის შემდეგაც მასპინძლებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ძალიან მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს.

რუსთაველებს ადამ ბლეიზეკმა ულიდერა, რომლის ანგარიშზეც 21 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა დაგროვდა. 19 ქულა და 12 მითვალა ტაირელ ნელსონმა, ხოლო ლევან ცეკვავამ შეხვედრა 12 ქულით და 6 პასით დაასრულა. დინამოში 18 ქულით ბომბარდირი გახდა რეივენ ლი. 16 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა მიხეილ ბერიშვილმა, ლაველ ბოიდიმაც პირად ანგარიშზე 16 ქულა ჩაიწერა.

**კაქტუსი-ბათუმი 70:61**
**(22:16, 13:15, 15:20, 20:10)**

სუპერლიგის ცხრილის შუაში მეზობლად მყოფი გუნდების მატჩი დაძაბული გამოდგა. კაქტუსსაც და ბათუმსაც გამარჯვება ძალიან სჭირდებოდათ. ბათუმელებს მოგება კაქტუსთან ათანაბრებდა, თუმცა ბოლო წუთებზე ძალები აღარ ეყო და შეხვედრა 9 ქულით დათმო.

მართალია, კაქტუსელები თავიდანვე გალიდერდნენ და უპირატესობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ ბათუმი არ რჩებოდა და პერიოდულად ანგარიშსაც ათანაბრებდა. მესამე მეოთხედის ბოლოს ზღვისპირული გუნდი სირენის თანხლებით ჩაგდებული სამქულიანით სპენსერ კოლინსმა ბათუმელები 51:50 დააწინაურა. დასვნით მეოთხედში თანაბარი თამაში გაგრძელდა და სავარაუდო იყო, რომ გამარჯვებული ბოლო წამებამდე არ გამოვლინდებოდა. კაქტუსელებმა ბოლო 3 წუთი მეტოქეზე შედეგიანად ჩაატარეს და ისე გაიმარჯვეს, ბოლო 2 წუთში თამაში არც დაძაბულა.

კაქტუსში 18 ქულით და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ჯონ მიჩელი. 15 ქულა მოაგროვა დეანდრე პარკსმა, ხოლო 10 ქულა და 10 მოხსნა ტერიკ ბრიჯმენის ანგარიშზე დაგროვდა. ბათუმში 20 ქულით და 19 მოხსნით საუკეთესო იყო სტეფან ანდრეიევიჩი, ერიკ ჩილდრესმა კი შეხვედრა 13 ქულითა და 7-7 მოხსნა-პასით დაასრულა.



**მგზავრები-ოლიმპი 81:87**
**(20:20, 22:22, 19:23, 20:22)**

ოლიმპელებმა სეზონი შედეგიანად დაიწყეს და ლიდერთა შორისაც იყვნენ, თუმცა შემდეგ უკრაინელი ლეონიდ ივატინის გაწვრთნილ გუნდს ტრავმებმა დარია ხელი და სატურნირო მდგომარეობა გაუუარესდა. ბოლო მატჩებში კი, რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და მგზავრებთან მატჩიც აუცილებლად მოსაგებთა რიცხვს განეკუთვნებოდა.

თავის მხრივ, მგზავრებისთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შეხვედრას. ბუბა ბერიშვილის გუნდი ცხრილის ქვედა ნახევარშია და მიუხედავად იმისა, რომ ლიგიდან გავარდნა არ ემუქრება, იმედიანად რომ იყოს, საშუალო გაქანების გუნდების დამარცხება მართებს. მგზავრებმაც ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად, ბოლო პერიოდამდე ტოლ-სწორად ებრძოლნენ ოლიმპს, თუმცა საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ.

ოლიმპს ულიდერა გივი ბაქრაძემ, რომელიც თავის გუნდს როგორც გამთამაშებლად, ისე შეტევების დამგვირგვინებლად მოევლინა. ბაქრაძე 23 ქულით თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო. ამასთან, გივის 6 პასიც დაუგროვდა, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი გახლდათ. გამარჯვებულებს 13-13 ქულა შეაშველეს მერაბ ბოქოლიშვილმა და მორის ჰილმა, ხოლო გეგი ბაქრაძემ შეხვედრა 12 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა. „მგზავრებში" 33 ქულით ადრიან ბოუი გამოირჩა. 14 ქულა მიითვალა კახა ჯინჭარაძემ.

**სოხუმი-დელტა 75:97**
**(18:27, 25:27, 14:23, 18:20)**

ბოლო ადგილზე მყოფმა სოხუმმა მარნეულის დელტას უმასპინძლა და უშანსოდ დამარცხდა, რითაც სუპერლიგაში დარჩენის შანსები კიდევ უფრო შეიმცირა.

სოხუმელებს მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ 1 მოგება აქვთ და სეზონის მსვლელობისას არაერთი ტრანსფერი განახორციელეს ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. დელტა ლიდერთა რიცხვს არ განეკუთვნება და თუკი სუპერლიგაში დარჩენის ამბიცია ჰქონდა, სოხუმს მეტოქე უნდა დაემარცხებინა, მაგრამ თემურ კანკიას გაწვრთნილმა ქვემოქართლურმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ნახევარში და შეხვედრა 22 ქულის სხვაობით მოიგო.

მარნეულს 22 ქულით დეანდრე რეიმ ულიდერა. 21 ქულა და 6 პასი ნიკოლას ნილმა მიითვალა, არტიომ შვეცის ანგარიშზე კი 17 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. სოხუმში 18 ქულით ბიშოპ დენიელსი გამოირჩა. სერგო ათუაშვილის ანგარიშზე კი 16 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

ფიბა-ს სანაკრებო ფანჯრის გამო სუპერლიგაში ახლა მცირე შესვენება გამოცხადდება და თამაშები 1 მარტიდან განახლდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსთავი | 19 | 14 | 5 | 1567:1449 | 33 |
| 2.ქუთაისი | 18 | 15 | 3 | 1544:1349 | 33 |
| 3.კაკტუსი | 19 | 11 | 8 | 1527:1549 | 30 |
| 4.ოლიმპი | 19 | 11 | 8 | 1481:1424 | 30 |
| 5.დინამო | 18 | 11 | 7 | 1481:1358 | 29 |
| 6.ბათუმი | 19 | 9 | 10 | 1438:1369 | 28 |
| 7.დელტა | 19 | 6 | 13 | 1522:1641 | 25 |
| 8.მგზავრები | 18 | 6 | 12 | 1379:1528 | 24 |
| 9.სოხუმი | 19 | 1 | 18 | 1428:1700 | 20 |

## ზუროსის საფიქრალი შემადგენლობაა



საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის იკრიბება. ილიას ზუროსმა 18 კანდიდატი გამოიძახა, რომელთაგანაც 23 და 25 თებერვლის მატჩებისთვის 12 კალათბურთელს შეარჩევს. ჩინეთში 2019 წელს გასამართი მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩებს საქართველოს ეროვნული ნაკრები 23 თებერვალს ავსტრიაში გამართავს, ხოლო 25-ში გერმანიას თბილისში უმასპინძლებს.

ფიბა-სა და ევროლიგის შეუთანხმებლობის გამო ნაკრებს კვლავ ვერ დაეხმარებიან გიორგი შერმადინი და თორნიკე შენგელია, ხოლო დუდა სანაძესა და ბექა ბურჯანაძეს კვლავ ტრავმა აწუხებთ. ტრავმა მოირჩინა და ნაკრებს დაუბრუნდა ძირითადი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე, რომელიც ფორმაში არ გახლავთ, თუმცა ზუროსს მისი ეიმედება და მასთან კონსულტაციის შემდეგ ნაკრებში გამოიძახა.

აქედან გამომდინარე, ილიას ზუროსმა ნაკრებში 2 ახალ კანდიდატს უხმო: რუსთავის სნაიპერი რეზო ჩაჩანიძე და ქუთაისის ფორვარდი აკაკი ლომოური ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს.

ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ახალი წევრით შეივსო. მთავარი მწვრთნელის, ზუროსის კიდევ ერთი ასისტენტი იქნება კლუბ მარნეულის დელტას მთავარი მწვრთნელი, თემურ კანკია. მასთან ერთად ზუროსის ასისტენტები იქნებიან დავით როგავა, ტიჰომირ ბუიანი და მილოშ გლიგორიევიჩი.

სამდღიანი ვარჯიშების შემდეგ მთავარი მწვრთნელი გუნდის ძირითად 12 მოთამაშეს დაასახელებს და 21 თებერვალს ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრება. მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი ავსტრიასა და საქართველოს შორის ვენაში, 23 თებერვალს, თბილისის დროით 21:00 საათზე დაიწყება.

საქართველოს ნაკრები ავსტრიიდან იმავე ღამეს დაბრუნდება და გერმანიასთან 25 თებერვალს გასამართი მატჩისთვის მზადებას თბილისის სპორტის სასახლეში განაგრძობს.

**საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:**

გიორგი ცინცაძე (პოლიტექნიკა, რუმინეთი), მაიკლ დიქსონი (ბაჰჩეშეჰირი, თურქეთი), მიხეილ ბერიშვილი, ილია ლონდარიძე (ორივე დინამო), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ანატოლი ბოისა (კაკტუსი), ბექა ბექაური, აკაკი დვალიშვილი, ბექა წივწივაძე, აკაკი ლომოური (ყველა ქუთაისი), ნიკა ცქიტიშვილი (ბიბლოსი, ლიბანი), ლევან ფაცაცია (დელტა), რევაზ როგავა, ნიკა დარბაიძე, გეგი ბაქრაძე, მერაბ ბოქოლიშვილი (ყველა ოლიმპი), რეზო ჩაჩანიძე (რუსთავი), ოთარ ფხაკაძე (მგზავრები).

## ზამთრის ოლიმპიადას ერთი ქართველი შემორჩა



კორეის ქალაქ პიონჩანში მიმდინარე ზამთრის 32-ე ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა უკვე 3-მა ქართველმა სპორტსმენმა დაასრულა. ფიგურულ სრიალში ვაჟები მაყურებლის წინაშე ჯერ მოკლე პროგრამით წარდგნენ. მორის ყვითელაშვილს კენჭისყრით მე-11 ნომერი ერგო და თავის ჯგუფში ფავორიტად ითვლებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ოთხმაგი ბრუნი არ გამოუვიდა, წაიქცა და, შესაბამისად, მხოლოდ 76.56 ქულა მიიღო.

როცა შეჯიბრებაში მონაწილე ოცდაათივე სპორტსმენის გამოსვლა შეფასდა, გაირკვა, რომ ყვითელაშვილს 22-ე შედეგი აღმოაჩნდა.

ჩვენებური თავისუფალ პროგრამაში კიდევ უფრო წარუმატებლად გამოვიდა. მან ზედიზედ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, ამიტომაც მხოლოდ 128.01 ქულა მიიღო, 2 გამოსვლის ჯამში კი 204.57 ქულა მოაგროვა და ფინალურ ჯგუფში ბოლო, 24-ე ადგილი დაიკავა.

ძალიან დაძაბულად წარიმართა ოლიმპიური თამაშების ფავორიტთა ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის. სოჭის 2014 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იაპონელმა იუძურუ ჰანიუმ, რომელიც ლიდერობდა მოკლე პროგრამის შემდეგ (111.68), თავისუფალი ვარჯიშიც ოსტატურად შეასრულა (206.17), ორჭიდში 317.85 ქულა აიღო და ზედიზედ მეორედ დაეუფლა ოლიმპიურ ოქროს მედალს.

306.90 ჯამური ქულით მეორე ადგილზე გავიდა ჰანიუს თანამემამულე შომა უნო, ბრინჯაოს მედალი კი ესპანელმა ხავიერ ფერნანდესმა მიიღო (305.24).

რაც შეეხება ჩვენს სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაურს, მანაც დაასრულა ოლიმპიადაზე გამოსვლა. ნინომ სლალომში 39-ე ადგილი დაიკავა, რაც მისთვის საუკეთესო ოლიმპიური შედეგია. ქართველმა მოთხილამურემ სლალომის ტრასა პირველ ცდაზე 55.88 წამში დაფარა, მეორე ცდას კი 55.74 წამი მოანდომა. ამ დისციპლინაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა შვედი ფრიდა ჰანსდოტერი. თავისი მეოთხე ოლიმპიური სტარტის მოლოდინშია ჩვენი მეოთხე ოლიმპიელი იასონ აბრამაშვილი, რომელიც ჯერ გიგანტურ სლალომში გამოვა, 22 თებერვალს კი – სლალომში.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

## 17 თებერვალი

### ფეხბურთი

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

უენსდი-სუონსი ..... 0:0
ბრაიტონი-ქოვენთრი ..... 3:1
ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი ..... 1:2
ჰადერსფილდი-მანჩესტერი ..... 0:2

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-მილუოლი ..... 0:1
ბარტონი-ნოტინგემი ..... 0:0
კარდიფი-მიდლსბრო ..... 1:0
ფულემი-ასტონ ვილა ..... 2:0
პრესტონი-ვულვზი ..... 1:1
ქპრ-ბოლტონი ..... 2:0
სანდერლენდი-ბრენტფორდი ..... 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლას პალმასი-სევილია ..... 1:2
ეიბარი-ბარსელონა ..... 0:2
ალავესი-დეპორტივო ..... 1:0
მალაგა-ვალენსია ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 5 | 0 | 62-11 | 62 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 15 | 7 | 1 | 34-9 | 52 |
| 3.ვალენსია | 24 | 14 | 4 | 6 | 47-28 | 46 |
| 4.რეალი | 22 | 12 | 6 | 4 | 50-23 | 42 |
| 5.სევილია | 24 | 12 | 3 | 9 | 31-35 | 39 |
| 6.ვილიარეალი | 23 | 11 | 4 | 8 | 34-28 | 37 |
| 7.ეიბარი | 24 | 10 | 5 | 9 | 32-36 | 35 |
| 8.ხირონა | 24 | 9 | 7 | 8 | 34-30 | 34 |
| 9.ბეტისი | 23 | 10 | 3 | 10 | 38-45 | 33 |
| 10.სელტა | 23 | 9 | 5 | 9 | 41-34 | 32 |
| 11.ხეტაფე | 23 | 7 | 9 | 7 | 26-21 | 30 |
| 12.ლეგანესი | 23 | 8 | 5 | 10 | 20-25 | 29 |
| 13.ბილბაო | 23 | 6 | 10 | 7 | 24-25 | 28 |
| 14.ალავესი | 24 | 9 | 1 | 14 | 22-33 | 28 |
| 15.სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 43-45 | 26 |
| 16.ესპანიოლი | 23 | 6 | 8 | 9 | 21-31 | 26 |
| 17.ლევანტე | 23 | 3 | 11 | 9 | 21-35 | 20 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 3 | 16 | 18-52 | 18 |
| 19.დეპორტივო | 24 | 4 | 5 | 15 | 24-53 | 17 |
| 20.მალაგა | 24 | 3 | 4 | 17 | 15-38 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოსასუნა-რეუსი ..... 0:0
ალკორკონი-ტენერიფე ..... 1:1
ოვიედო-ალბასეტე ..... 0:0
ლორკა-ხიხონი ..... 0:0
ხიმნასტიკი-ტარაგონა ..... 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ჰანოვერი ..... 1:1
ფრაიბურგი-ვერდერი ..... 1:0
ჰამბურგი-ლევერკუზენი ..... 1:2
ვოლფსბურგი-ბაიერნი ..... 1:2
შალკე-ჰოფენჰაიმი ..... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 19 | 2 | 2 | 55-18 | 59 |
| 2.ლევერკუზენი | 23 | 10 | 8 | 5 | 43-30 | 38 |
| 3.ლაიპციგი | 22 | 11 | 5 | 6 | 35-29 | 38 |
| 4.დორტმუნდი | 22 | 10 | 7 | 5 | 47-29 | 37 |
| 5.შალკე | 23 | 10 | 7 | 6 | 36-30 | 37 |
| 6.აინტრახტი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-25 | 36 |
| 7.ჰანოვერი | 23 | 8 | 8 | 7 | 32-33 | 32 |
| 8.აუგსბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 32-28 | 31 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 23 | 8 | 7 | 8 | 37-37 | 31 |
| 10.გლადბახი | 22 | 9 | 4 | 9 | 30-34 | 31 |
| 11.ჰერტა | 23 | 7 | 9 | 7 | 30-30 | 30 |
| 12.ფრაიბურგი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-37 | 28 |
| 13.ვოლფსბურგი | 23 | 4 | 12 | 7 | 26-30 | 24 |
| 14.შტუტგარტი | 22 | 7 | 3 | 12 | 18-27 | 24 |
| 15.ვერდერი | 23 | 5 | 8 | 10 | 21-28 | 23 |
| 16.მაინცი | 23 | 6 | 5 | 12 | 28-41 | 23 |
| 17.ჰამბურგი | 23 | 4 | 5 | 14 | 18-34 | 17 |
| 18.კიოლნი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-42 | 14 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-დარმშტადი ..... 2:0
ინგოლშტადი-ზ.პაული ..... 0:1
ფორტუნა-ფიურტი ..... 1:1
კილი-აუე ..... 2:2

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-რომა ..... 0:2
კიევო-კალიარი ..... 2:1
ჯენოა-ინტერი ..... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 24 | 20 | 3 | 1 | 54-15 | 63 |
| 2.იუვენტუსი | 24 | 20 | 2 | 2 | 61-15 | 62 |
| 3.რომა | 25 | 15 | 5 | 5 | 40-19 | 50 |
| 4.ინტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 40-21 | 48 |
| 5.ლაციო | 24 | 14 | 4 | 6 | 59-33 | 46 |
| 6.სამპდორია | 24 | 12 | 5 | 7 | 44-32 | 41 |
| 7.მილანი | 24 | 11 | 5 | 8 | 34-30 | 38 |
| 8.ატალანტა | 24 | 10 | 7 | 7 | 36-28 | 37 |
| 9.ტორინო | 24 | 8 | 12 | 4 | 35-29 | 36 |
| 10.უდინეზე | 25 | 10 | 3 | 12 | 36-36 | 33 |
| 11.ფიორენტინა | 24 | 8 | 7 | 9 | 33-31 | 31 |
| 12.ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 21-25 | 30 |
| 13.ბოლონია | 24 | 8 | 3 | 13 | 29-37 | 27 |
| 14.კიევო | 25 | 6 | 7 | 12 | 23-42 | 25 |
| 15.კალიარი | 25 | 7 | 4 | 14 | 23-36 | 25 |
| 16.სასუოლო | 24 | 6 | 5 | 13 | 14-41 | 23 |
| 17.კროტონე | 24 | 5 | 6 | 13 | 19-41 | 21 |
| 18.სპალი | 24 | 3 | 8 | 13 | 23-46 | 17 |
| 19.ვერონა | 24 | 4 | 4 | 16 | 22-48 | 16 |
| 20.ბენევენტო | 24 | 2 | 1 | 21 | 15-56 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ვენეცია-აველინო ..... 3:1
ვირტუსი-პესკარა ..... 0:0
ნოვარა-სპეცია ..... 1:1
პერუჯა-პალერმო ..... 1:0
სალერნიტანა-პრო ვერჩელი ..... 0:0
ფოჯა-კარპი ..... 3:0
ჩეზენა-ჩიტადელა ..... 0:1
ემპოლი-პარმა ..... 4:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-სტრასბური ..... 5:2
ამიენი-ტულუზა ..... 0:0
ანჟე-სტ.ეტიენი ..... 0:1
კაენი-რენი ..... 2:2
მონპელიე-გენგამი ..... 1:1
ტრუა-მეცი ..... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 2 | 2 | 81-19 | 68 |
| 2.მონაკო | 26 | 17 | 5 | 4 | 64-26 | 56 |
| 3.მარსელი | 25 | 15 | 7 | 3 | 55-29 | 52 |
| 4.ლიონი | 25 | 14 | 6 | 5 | 54-30 | 48 |
| 5.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 24-21 | 38 |
| 6.ნანტი | 25 | 11 | 5 | 9 | 26-26 | 38 |
| 7.ბორდო | 25 | 10 | 5 | 10 | 32-34 | 35 |
| 8.რენი | 26 | 10 | 5 | 11 | 32-35 | 35 |
| 9.ნიცა | 25 | 10 | 4 | 11 | 31-37 | 34 |
| 10.გენგამი | 26 | 9 | 7 | 10 | 26-33 | 34 |
| 11.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 6 | 11 | 27-40 | 33 |
| 12.კაენი | 26 | 9 | 5 | 12 | 20-30 | 32 |
| 13.დიჟონი | 25 | 9 | 4 | 12 | 36-52 | 31 |
| 14.სტრასბური | 26 | 8 | 6 | 12 | 32-47 | 30 |
| 15.ტრუა | 25 | 8 | 3 | 14 | 24-34 | 27 |
| 16.ტულუზა | 26 | 7 | 6 | 13 | 22-33 | 27 |
| 17.ამიენი | 26 | 7 | 5 | 14 | 22-30 | 26 |
| 18.ლილი | 25 | 7 | 5 | 13 | 23-39 | 26 |
| 19.ანჟე | 26 | 5 | 10 | 11 | 27-39 | 25 |
| 20.მეცი | 26 | 5 | 3 | 18 | 23-47 | 18 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-ოსერი ..... 1:3

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ვიტესი-ექსელსიორი ..... 1:2
ბრედა-ალკმაარი ..... 1:3
პსვ-ჰერენვენი ..... 2:2
დენ ჰააგი-ტილბურგი ..... 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ავიში-მარიტიმუ ..... 0:0
ბენფიკა-ბოავიშტა ..... 4:0
ეშტორილი-ბელენენსეში ..... 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-სტ.გალენი ..... 0:2
ლუგანო-გრასჰოპერსი ..... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-ჰართსი ..... 1:1
მოზერველი-კილმანროკი ..... 0:1
პარტიკი-დანდი ..... 1:2
ჰიბერნიანი-აბერდინი ..... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რაპიდი-შტურმი ..... 1:1
ვოლფსბერგერი-ადმირა ..... 1:3
ლინცერი-ალტახი ..... 2:0
მატერსბურგი-აუსტრია ..... 2:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანტვერპენი-ოსტენდე ..... 0:0
ვარეგემი-ეუპენი ..... 3:2
ლოკერენი-კორტრაიკი ..... 0:1
ბრიუგე-გენკი ..... 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-აპოლონი ..... 2:0
ასტერასი-ატრომიტოსი ..... 0:1
ლამია-პაოკი ..... 0:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-ქაისერი ..... 2:1
სივასი-ოსმანლი ..... 3:2
ფენერბახჩე-ალანია ..... 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბანიკი-სლოვაცკო ..... 1:2
ზლინი-დუკლა ..... 1:1
ბოლესლავი-კარვინა ..... 0:1
იაბლონეცი-ტეპლიცე ..... 2:1
იიჰლავა-სლავია ..... 1:0
ბოჰემიანსი 1905-ბრნო ..... 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-ზაგლებიე ..... 2:0
იაგელონია-კრაკოვია ..... 1:0
ვისლა-არკა ..... 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

სტალი-ოლექსანდრია ..... 2:0
ვორსკლა-ვერესი ..... 1:0

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ლუნგბიუ ..... 1:1

## ამერიკელმა ქალმა თავი გარდაცვლილად გამოაცხადა

ამერიკის ტენესის შტატის მცხოვრები ქალბატონი კონი ალენი ცდილობდა, პოლიციას გაჰქცეოდა, მაგრამ ფიასკო განიცადა და თავისი გაქცევა „ღმერთის ნების აღსრულებად" გამოაცხადა.



პოლიციელმა 52 წლის ქალბატონის ავტომობილი შენიშნა, რომელიც სიჩქარის დიდი გადაჭარბებით მიდიოდა. ის მას გაეკიდა და სიგნალებით მოსთხოვა გაჩერება. გაჩერების ნაცვლად, ქალმა კიდევ უფრო მოუმატა სიჩქარეს და დევნის პროვოცირება მოახდინა. მეორე პოლიციელმა გაქცეულს გზა გადაუკეტა და აიძულა, მანქანა გაეჩერებინა.

ქალმა ავტომობილიდან გადმოსვლაზე უარი განაცხადა. მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა მანქანის ფანჯრის მინაზე რამდენჯერმე დაუკაკუნეს და მუქარის ტონით მოსთხოვეს კარის გაღება და მანქანიდან გადმოსვლა, ის შეეცადა, მათთვის აეხსნა, რომ ის ქალწული მარიამია და რომ ყრმა იესოს წამოსაყვანად მიიჩქარის. მისი თქმით, მან სიჩქარის გადაჭარბების უფლება ღმერთისგან მიიღო.

მან ასევე განაცხადა, რომ ის დაახლოებით ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. ქალს სიჩქარის გადაჭარბების, მანქანის სახიფათოდ მართვის, პოლიციისგან გაქცევის მცდელობისა და სამართალდამცავებისთვის შეურაცხყოფის მიყენების ბრალდება წაუყენეს.

## კანალიზაციაში ჩავარდნილმა ბრიტანელმა სამი დღე მიწისქვეშ გაატარა



ლონდონის გარეუბანში გადაარჩინეს მამაკაცი, რომელიც კანალიზაციაში ჩავარდა და სამი დღის განმავლობაში ზედაპირზე ამოსვლა ვერ მოახერხა.

ადგილობრივ მცხოვრებთ მიწის ქვეშიდან მომავალი ყვირილის ხმა შემოესმათ და სამაშველო სამსახურში დარეკეს. პოლიციელებმა კანალიზაციის თავსახური გახსნეს და შიგ ჩავარდნილს ამოსვლაში დაეხმარნენ.

– ეს დიდი საშინელება იყო, – განაცხადა ამ შემთხვევის თვითმხილველმა ქალბატონმა, – საშინლად ჭუჭყიანი იყო და, მგონი, ფეხსაცმელიც არ ეცვა.

48 წლის მამაკაცი ამტკიცებს, რომ კანალიზაციის თავახდილ ჭაში ჩავარდა, უკან ამოსვლა ვერ შეძლო და გადაწყვიტა, სხვა გასასვლელი მოეძებნა. სამ დღეში მიწისქვეშ მან თითქმის ათი კილომეტრი გაიარა. გადარჩენისთანავე მამაკაცმა სიგარეტი მოითხოვა.

## თვითგამოცხადებულმა დროში მოგზაურმა სურათი „მომავლიდან" წარმოადგინა

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც მამაკაცი თავს „დროში მოგზაურს" უწოდებს და წარმოადგენს შენობის სურათს, რომელიც, მისი თქმით, 2118 წელსაა გადაღებული.

ვიდეორგოლში მამაკაცი, სახელად ალექსანდრ სმიტი, ამტკიცებს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო პროექტში მონაწილეობდა და, სიკვდილის მუქარის მიუხედავად, სიმართლის თქმა გადაწყვიტა.

– მე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო მეძებს, – ამბობს სმიტი. მისი თქმით, ის 1981 წლიდან 2118 წელში გადაადგილდა და უკან დაბრუნდა.



შემდეგ მან წარმოადგინა უჩვეულო ფორმის ცათამბჯენების რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებიც მწვანე ფერს ასხივებენ. თუ კონკრეტულად სად არის ეს ფოტოები გადაღებული, მამაკაცს არ დაუზუსტებია. სმიტმა ასევე განაცხადა, რომ 21-ე საუკუნის შუა წლებში დედამიწას გონიერი უცხოპლანეტელები ეწვევიან.

## ფილიპინელებმა მკვდარი ზვიგენი აპოკალიფსის მაცნედ მიიჩნიეს



იშვიათი სახეობის ზვიგენი, რომელიც ფილიპინური სოფლის ნეგროს-ორიენტალეს მახლობლად სანაპიროზე გამოირიყა, ადგილობრივებმა სამყაროს დასასრულის მაცნედ მიიჩნიეს. თევზი ზედაპირზე ზღვის სიღრმეში გრუნტის მოძრაობის გამო ამოტივტივდა.

– ეს დიდი უბედურებაა. იმის შეგრძნება გაჩნდა, რომ რაღაც ცუდი ახლოვდება. შესაძლოა გლობალური კატასტროფა მოხდეს, ჩვენ ამისთვის ვემზადებით, – განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა პაულინო ოკანამ. მეთევზე პიტერ რამირესის თქმით, ზვიგენის მდგომარეობამ ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრები შეაშინა.

არსება, რომელზეცაა საუბარი, დიდპირიანი პელაგიური ზვიგენია. ეს სახეობა 1976 წელს აღმოაჩინეს. დღემდე მათი შესწავლა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ისინი ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში კილომეტრ-ნახევარ სიღრმეზე ბინადრობენ და პლანქტონით იკვებებიან. ამ თევზის მაქსიმალური სიგრძე 5,7 მეტრს აღწევს.

ღრმა წყლის ბინადარნი მეტად მგრძნობიარენი არიან ფსკერზე ზღვის გრუნტის მოძრაობის მიმართ და წყლის ზედაპირზე მათი გამოჩენა იმის მომასწავებელია, რომ სიღრმეში რაღაც ხდება. ასე იყო, მაგალითად, იაპონიაში, როდესაც მიწისძვრამდე და ცუნამამდე მცირე ხნით ადრე სანაპიროზე ათეულობით ღრმა წყლის ბინადარი მარჯანი გამოირიყა.

## ზვიგენმა წყალმოთხილამურეს ვარჯიშში ხელი შეუშალა



ავსტრალიელი წყალმოთხილამურე ვარჯიშის დროს კინაღამ ზვიგენს შეეჯახა. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლზე, რომელიც ავსტრალიის კვინსლენდის შტატში, მდინარე ბრისბენზეა გადაღებული, ზვიგენი წყლიდან სპორტსმენისგან სულ რამდენიმე სანტიმეტრში ამოხტება, თუმცა ის მომხდარზე არ რეაგირებს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, წყალმოთხილამურე იმდენად იყო კონცენტრირებული ვარჯიშზე, რომ, უბრალოდ, მტაცებელი თევზი ვერ შენიშნა, ხოლო ვიდეოს იმისთვის იღებდა, რომ შემდეგ საკუთარი ტექნიკისთვის გარეშე თვალით შეეხედა.

## იაპონელმა ქალმა ბავშვის ვიდეოთამაშებისგან დაცვის ხერხს მიაგნო



იაპონელმა ქალმა უჩვეულო საშუალება გამოძებნა იმისთვის, რომ ბავშვი ვიდეოთამაშებისთვის ჩამოეცილებინა.

იაპონელმა ტვიტერში გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც ჩანს, რომ სათამაშო კონსოლს საკეტი ადევს. ბოქლომი კვების ბლოკის ჩამრთველშია გაყრილი და ამის გამო მისი შტეფსელში ჩართვა შეუძლებელია.

მეორე მსგავსი საკეტი დაყენებულია სმარტფონის დამტენ მოწყობილობაზე. ორივე საკეტი გეიმერის დედამ დააყენა ელექტრომოწყობილობებზე, რათა მისი შვილის ვიდეოთამაშებით გართობის დრო შეეზღუდა.

იაპონიაში გამოიყენება შტეფსელში შესარჭობი ბრტყელი ფორმის ჩამრთველები და ყოველ მათგანზე ხვრელია დატანებული. ქალმა სწორედ ამ განსაკუთრებულობით ისარგებლა და მათ ბოქლომები დაადო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

## ბორჯღალოსნებმა არც გერმანია დაინდეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გება გაგვიჭირდა. სამაგიეროდ სრული უპირატესობა გვქონდა შერკინებაში და ინდივიდუალურადაც, ჩვენი მორაგბეები მეტოქისას კლასით აღემატებოდნენ.

პირველი ლელო მე-9 წუთზე გავიდა, 5-მეტრა შერკინების შემდეგ გელა აფრასიძემ ბურთი ხაზზე გაიტანა, დავით კაჭარავას მიძალება მცველებმა შეაჩერეს, მაგრამ გიორგი კვესელაძეს ვერაფერი მოუხერხეს და მარნეულის არმაზის უკანახაზელმა მე-4 სანაკრებო მატჩში პირველი ლელო გაიტანა.

მეორე ლელოც მალე გავიდა. მოლის ჩაქცევის შემდეგ მორკინალებმა რამდენიმე დარტყმა განახორციელეს, მერე ლაშა ხმალაძემ ფეხით მსუბუქად შეაცურა ბურთი და ალექსანდრე თოდუამ დაამიწა. წიკლაურმა ერთი გარდასახა – 12:0.

ამის შემდეგ გერმანელებმა ბურთზე კონტროლის დამყარება მოახერხეს და რამდენიმე წუთი დაცვაში მოგვიწია თამაში, თუმცა შერკინებაში ბურთი კვლავ ჩამოვართვით, ლაშა ლომიძე დერეფანში დომინირებდა, ვიტო კოლელიშვილსა და ნოდარ ჭეიშვილს ლელომდე ცოტა დააკლდათ, აი ლევან ჩილაჩავას კი მცველებმა ველარაფერი მოუხერხეს და წიკლაურმაც გარდასახა. შესვენებამდე მეტოქეს 3 ქულის აღების შანსი ჰქონდა, თუმცა დარტყმა არაზუსტი იყო და ტაიმი 19:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი 5 წუთის დაწყებული იყო, ხმალაძემ ხაზი რომ გაჭრა და სიტუაცია გაამწვავა. ამას ჩვენი აუტი მოყვა, რამდენიმე დარტყმის შემდეგ კარის წინ სივრცე გაჩნდა და შეცვლაზე შესულმა ანტონ ფეიქრიშვილმა კარგად გამოიყენა. ამას 2გაუქმებული ლელო მოყვა – ანზორ სიჭინავაზე და ვასილ ლობჟანიძეზე გვერდითმა მსაჯმა წინთამაში დააფიქსირა. 59-ე წუთზე ნაცად ხერხს მივმართეთ, დერეფნიდან მოლი დავაყენეთ და მიხეილ გაჩეჩილაძემ, რომელიც პირველად იყო ძირითადში და მეორე კეპი მოიხვეჭა, თავისი პირველი სანაკრებო ლელო გაიტანა, ხოლო წიკლაურმა გარდასახა – 33:0.

დასკვნით 20 წუთში თამაში გაიხსნა, ბორჯღალოსნების უპირატესობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდა და 5 ლელო გავიდა: ოთარ გიორგაძემ ძალისმიერი შეტევით უპირატესობის ხაზი გადაკვეთა, შეტევაში კვესელაძე ჩაერთო და მეორე ლელო გაიტანა. ხუთიოდე წუთში საქართველომ 5-მეტრა შერკინებიდან შეუტია, მეორე დარტყმა გიორგაძემ განახორციელა და ამჯერად ლელო თავად მიითვალა. მერე იყო ზურაბ ჟვანიასა და სიჭინავას ლამაზი, სამსვლიანი კომბინაცია, რომელიც ლელოთი სტად ფრანსეს ბურჯმა დაასრულა; ლობჟანიძის ფეხით თამაში და კვესელაძის ჰეთ-ტრიკი; გიორგი ცუცქირიძის გარღვევა და ხმალაძის ლელო – 64:0.

ბორჯღალოსნები მორიგ მატჩს 3 მარტს თბილისში ესპანეთის წინააღმდეგ გამართავენ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## სკანვორდი




1. ნიავი; 2. მცირე არია; 3. იაპონური თეატრი; 4. ფელამუში; 5. ლმობიერი, გულკეთილი; 6. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული ირანში; 7. მეექვსე ნოტი; 8. ... უკრაინკა; 9. თხის ჯოგი; 10. დროის მონაკვეთი კრივში; 11. ნანული სარაჯიშვილის კინოროლი; 12. ცდის გარეშე; 13. ადამიანის უძველესი სახეობა; 14. სატურნის თანამგზავრი; 15. სოფელი კასპის რაიონში; 16. ასო „ც"-ს სახელწოდება; 17. სადამსჯელო ოპერაცია სოფლად ცარიზმის დროს; 18. მუხის ნაყოფი; 19. ბერძნული ანბანის ასო; 20. ფრანგული არაყი; 21. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 22. საიალქნე ძელი; 23. ჭურისებრი ფართოძირიანი ჭურჭელი; 24. კრივის მოედანი; 25. წერილი; 26. მალაის არქიპელაგის კუნძული; 27. ეროს ...; 28. კოლხი მედეას მამა; 29. მოკლე სატირული ლექსი; 30. ... ნინიძე; 31. ... ფრანკლინი; 32. ბრძოლა.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გელათი; 2. გენი; 3. გერიატრია; 4. დიქტი; 5. დარჯაკი; 8. დიზელი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. ბორნეო; 16. ომეგა.

**თარაზულად:** 1. გარპაგონი; 6. გეორგიკა; 7. ლონდონი; 9. დოლიძე; 10. ჯიდა; 11. მერკური; 13. ტიბრი; 15. კაზინო; 17. ფაიზერი; 18. საირმე; 19. სოკერი; 20. პალანგა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კატალონია; 2. აზურიტი; 3. კასიკი; 4. ბახში; 5. ინტერი; 11. დოკერი; 12. ტაპირი; 14. ქოცო; 16. ნიაგარა; 17. იმპულსი; 19. სევილია; 21. შოუდუ; 22. კათხა.

**თარაზულად:** 6. მალვაზია; 7. დიაფანი; 8. შპრეე; 9. პლზენი; 10. კლოდი; 13. ციცქა; 15. ანტვერპენი; 18. ფიპრესი; 20. მოკო; 21. შალახო; 23. საქართველო; 24. სლაიდი.

## ასტროპროგნოზი

19 თებერვალი



**ვერძი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. არაკეთილისმყოფელი პერიოდია კოლექტიური მუშაობისათვის. ილუზიებს არ აჰყვეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის. თქვენი ღირსებები სათანადოდ დაფასდება. **ტყუპები** – მთელი ენერგიის კონცენტრირება თავდაცვისკენ მოახდინეთ. არ არის გამორიცხული კონფლიქტი ეჭვიანობის ან ფინანსური პრობლემების ნიადაგზე. **კირჩხიბი** – დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. თქვენი შრომისმოყვარეობა აუცილებლად სასიკეთო ნაყოფს გამოიღებს. **ლომი** – თავგადასავლებითა და პროვოკაციებით სავსე დღეა. ახლობელთან კონფლიქტის მიზეზი შესაძლოა თქვენი მეტისმეტი ქედმაღლობა და სიჯიუტე გახდეს. **ქალწული** – ნათესავებთან და ძველ მეგობრებთან ურთიერთობა გიუმჯობესდებათ. დღეს აკრძალულია ნებისმიერი კაპიტალდაბანდება. **სასწორი** – გუნება-განწყობა სწრაფად გეცვლებათ. თავქარიანობა საქმეში ხელს ძალიან შეგიშლით. **ღრიანკალი** – საკმაოდ ნეგატიური და დაძაბული დღეა. შესაძლოა, კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. ხმას ნუ აუწევთ. **მშვილდოსანი** – გეგმების განსახორციელებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. რადიკალურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – ახალი იდეების რეალიზებისათვის ზედგამოჭრილი დღეა. გარს შემოიკრიბეთ თანამოაზრეები და საქმე ერთიანი ძალისხმევით დაიწყეთ. **მერწყული** – გუნება-განწყობა სწრაფად გეცვლებათ. თავქარიანობა საქმეში ხელს ძალიან შეგიშლით. **თევზები** – საკმაოდ არასასიამოვნო დღეა. ფრთხილად იყავით, მოტყუებული არ დარჩეთ. გარშემომყოფებისაგან აგრესიულობა იგრძნობა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# თბილისის მერიამ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ლიკვიდაცია მოახდინა



ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა გაავრცელა და ინტერნეტში დედაქალაქის მერ კახა კალაძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ფოტოც გამოაქვეყნა.

გიორგი უშიკიშვილის ინფორმაციით, შენობას ანსამბლ „რუსთავს" აძლევენ, რაც, მისი აზრით, დიდი შეცდომაა. უშიკიშვილის განცხადებით, ანსამბლი რეპეტიციებს ისედაც ამ შენობაში გადიოდა, თუმცა სკოლის ლიკვიდაცია მისთვის ნამდვილად გაუგებარია.

**გიორგი უშიკიშვილი:**

– ქალაქ თბილისის მერიამ „ააიპ ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის" (არტოს ბაღი) ლიკვიდაცია მოახდინა.

ეს არის ის ადგილი, სადაც მრავალი თაობა გაიზარდა, მათ შორის მეც.

არ ვიცი, ამ ადგილას რის გაკეთებას გეგმავენ, მაგრამ, თუ იმაზე უკეთეს საქმეს ჩაეყრება საფუძველი, ვიდრე მომავალი თაობის ხალხურ შემოქმედებასთან ზიარებაა, მხოლოდ გამიხარდება. ვნახოთ, დავაკვირდებით პროცესებს.

# ავთო აბესლამიძე გაანაწყენეს



მუსიკალურ შოუ „იქს ფაქტორის" გამარჯვებული, ავთო აბესლამიძე, გაანაწყენეს.

როგორც მომღერალმა განაცხადა, მისმა მეგობარმა კომპოზიტორმა სიმღერა საკუთარი სურვილით დაუწერა, თუმცა მოგვიანებით განუცხადა, რომ ეს სიმღერა სხვა მომღერალმა უნდა შეასრულოს:

– ადამიანის, მეგობარი კომპოზიტორის სახელსა და გვარს შეგნებულად არ დავასახელებ, რომელმაც სიმღერა თავისი სურვილით დამიწერა და მისივე სურვილი იყო, რომ მე მემღერა. სიმღერა უკვე გამზადებულია არანჟირებისთვის და მწერს, ბოდიშებს მიხდის, რომ ეს კონკრეტული სიმღერა უნდა შეასრულოს სხვა მომღერალმა. წარმატებები მას... არც ამ მომღერლის სახელსა და გვარს არ დავასახელებ... უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ეს არის სრული უპასუხისმგებლობა და არასწორი ნაბიჯი ხელოვანი ადამიანის მხრიდან...

პ.ს. უკეთესის მოლოდინში...

# წვერის წმინდა გიორგის ეკლესია დამახინჯებულია

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში წვერის წმინდა გიორგის ეკლესია დამახინჯებულია.



ინფორმაცია და ფოტოები სოციალურ ქსელში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– წვერის წმინდა გიორგის ეკლესია, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი.

კუსტარული რემონტის შედეგად, პირველ რიგში, ფასადების თეთრად გალესვის გამო, სახე დამახინჯებული აქვს, საჭიროებს რესტავრაციას... ფოტო ინტერნეტიდან.

# სურამში ლესია უკრაინკას მუზეუმი ინგრევა

სურამში, ზინდისში, უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას, იმავე ლარისა კოსაჩის მუზეუმი ინგრევა.

XIX საუკუნის სახლი ეთნოგრაფ ნიკოლოზ აბაზაძეს ეკუთვნოდა, თუმცა 1952 წლიდან ამ შენობაში უკრაინელი პოეტის მუზეუმია განთავსებული.



შენობის უმძიმესი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და ფოტოები გიორგი ჩუბინიძემ გაავრცელა:

– ეს გახლავთ სურამში, ზინდისში არსებული XIX საუკუნის სახლი. აქ 1952 წლიდან განთავსებულია უკრაინელი პოეტი ქალის, ლესია უკრაინკას – ლარისა კოსაჩის მუზეუმი.

სახლი ეკუთვნოდა ეთნოგრაფ ნიკოლოზ აბაზაძეს. ამ სახლთან და ამ ოჯახთან არაერთი საინტერესო ამბავი და პიროვნებაა დაკავშირებული. სავარაუდოდ, სახლს არ უნდა ჰქონდეს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსიც.

მდგომარეობა სულ უფრო უარესდება და სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს.

მუზეუმი ამჟამად მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია და, არა მგონია, მისი რესტავრაციის სახსრები ჰქონდეს! გთხოვთ, დაგვეხმაროთ!

# ქართველ ოპერის მომღერალს კრიტიკოსებმა ვერდის ბარიტონი უწოდეს



ბარიტონი ნიკოლოზ ლაგვილავა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ის ცნობილი ოპერის მომღერლის რევაზ ლაგვილავას შვილია, რომელიც ვოკალურ ხელოვნებას თბილისის კონსერვატორიაში მამის ხელმძღვანელობით დაეუფლა.

მომღერალმა მასტერკლასები გერმანიაში ცნობილ მეცო-სოპრანო ვერენა კელერთან გაიარა, მონაწილეობა მიიღო ლაუბახის მეხუთე საერთაშორისო საოპერო ფესტივალზე, სწავლობდა მილანსა ლა სკალას აკადემიაში. მოგვიანებით ნიკოლოზ ლაგვილავამ სტრასბურში ევროპის კულტურის ფონდის პრემია მოიპოვა, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მესამე რესპუბლიკურ კონკურსზე პირველი პრემიით დაჯილდოვდა და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატიც გახდა.

ნიკოლოზ ლაგვილავას რეპერტუარშია არაერთი წამყვანი პარტია ჯუზეპე ვერდის, გაეტანო დონიცეტის, ჯაკომო პუჩინის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯოაკინო როსინის, სერგეი რახმანინოვის ოპერებიდან. არანაკლებ მრავალფეროვანი და მდიდარია მომღერლის საკონცერტო რეპერტუარიც, რომელიც მოიცავს ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების კამერულ ნაწარმოებებს.

ამჟამად ოპერის მომღერალი ესენის ოპერის თეატრის სოლისტია. ნიკოლოზმა ესენში ჯუზეპე ვერდის ორ ოპერაში, „რიგოლეტოსა" და „ტრუბადურში", დიდი წარმატებით იმღერა, დიუსელდორფში კი ჯაკომო პუჩინის ოპერა „ტოსკაში" სკარპიას როლში მისი დებიუტი შედგა.

**ნიკოლოზ ლაგვილავა:**

– მე ესენის ოპერის თეატრის სოლისტი ვარ და ესენში ვცხოვრობ ამჟამად. დიუსელდორფის თეატრში მოხდა მიწვევა, როგორც ხდება ხოლმე მოსმენის შედეგად. დიუსელდორფში მქონდა დებიუტი სკარპიას როლში, ესენში კი ვიმღერე „რიგოლეტო" და „ტრუბადური" დიდი წარმატებით.

***– როგორ მიგიღოთ გერმანელმა მსმენელმა?***

– ძალიან კარგად. გერმანულმა პუბლიკამ ძალიან თბილად და დიდი აღტაცებით მიმიღო.

***– კრიტიკოსების მოწონება თუ დაიმსახურეთ?***

– კრიტიკოსებმა ძალიან დადებითი რეცენზიები გააკეთეს ჩემზე... ვერდის ბარიტონს მეძახიან.

***– ხანგრძლივია თქვენი გასტროლები?***

– ახლა მექნება ბერლინის კომიშე ოპერაში „რიგოლეტო", შემდეგ საფრანგეთში მივდივარ, ქალაქ ლილში „ნაბუქოს" სამღერად. 2019 წლის ბოლომდე ყველაფერი გაწერილი მაქვს. ბევრი შემოთავაზებაა სხვადასხვა ქვეყნიდან.

***– თბილისში როდის შეძლებს კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება თქვენს მოსმენას?***

– როგორც კი დროს გამოვნახავ, აუცილებლად ვიმღერებ თბილისში.

# „მგზავრებმა" ახალი სიმღერა გალაკტიონს მიუძღვნეს



ჯგუფმა „მგზავრებმა" თავისი ახალი სიმღერა „გალა" ქართული პოეზიის მეფე გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნა.

ქართულენოვანი სიმღერისა და მასზე გადაღებული კლიპის პრემიერა ამ უქმეებზე შედგა. გიგი დედალამაზიშვილმა და ჯგუფის მუსიკოსებმა პირველი შავ-თეთრი ვიდეორგოლი გადაიღეს. გადაღებები მთლიანად სტუდიაში მიმდინარეობდა და მასში მუსიკოსებთან და ჯგუფის სოლისტთან ერთად რიგითი ადამიანებიც მონაწილეობდნენ.

სიმღერა და ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე განთავსდა, რომელსაც ათასობით ნახვა, მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს. სიმღერა „გალა" შესულია „მგზავრების" საუკეთესო სიმღერების ახალ კრებულში, სახელწოდებით „რჩეული", რომლის პრეზენტაციაც 14 აპრილს მოსკოვში გაიმართება.

**გიგი დედალამაზიშვილი:**

– სიმღერას „გალა" გენიალური ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის პატივსაცემად დავარქვით. სიმღერაში საუბარია შეგრძნებებზე, რომლებიც არ გვესმის, ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ. გალაკტიონს აქვს ლექსი „თოვლი" და სწორედ ამ ლექსთან დაკავშირებით ბავშვობიდან მახსოვს ბევრი მსჯელობა, თუ რას გულისხმობდა პოეტი იისფერ თოვლში.

ჩვენ ვმღერით იმაზე, რომ შეიძლება ვერასოდეს მივხვდეთ, რაზე საუბრობდა გალაკტიონი, მაგრამ მთავარია, ჩვენ მას ვგრძნობთ: „თუ რა ფერი აქვს გალას იისფერ თოვლს, ჩვენ ვერ ვხვდებით, მაგრამ, უბრალოდ, ვგრძნობთ." – ეს არის ამონარიდი ჩვენი ახალი სიმღერიდან და, თუ კარგად დავუფიქრდებით, აუცილებლად მივხვდებით, რომ ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილად არის რაღაცები, რომლებსაც ვერ ვხედავთ, მაგრამ ვგრძნობთ.

# ხატია და გვანცა ბუნიათიშვილების აფიშებით ჟენევა აჭრელებულია




8 მარტს ქართველი პიანისტი დები, ხატია და გვანცა ბუნიათიშვილები, ჟენევაში ერთობლივ კონცერტს გამართავენ.

ვიქტორია ჰოლში კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ნამდვილი დღესასწაული ელით.

ქართველი პიანისტების აფიშებით უკვე მთელი ჟენევა აჭრელებულია. ინფორმაცია ამის შესახებ რუსუდან შარაძემ გაავრცელა:

– აჭრელებულია მთელი ჟენევა აფიშებითა და ფლაერებით. რა სასიამოვნო გრძნობაა. წარმატებებს ვუსურვებ ყველა ქართველს, ვინც ასახელებს თავის ქვეყანას...

ეს ხალხი მოცლილია. ან საიდან ამდენი ჩასაფრებული? ზედიზედ მწერენ, ეგ გოგო იმისტიაო. ამიტომ არ გვშველის არაფერი. ჟენევაში, ვიქტორია ჰოლში ან სადმე სხვაგან, მსმენელს ძალიან აინტერესებს ჩვენი პოლიტიკური მიდრეკილებები, ხომ? დახვეწილი, კულტურული პუბლიკა ამათ რომ მოუსმენს, საქართველოს სახელი კიდევ ერთხელ რომ გაისმება, მარტო ჯიბგირები რომ არ ვართ, ასეთ დროს, ძალიან ბრიყვულად მეჩვენება ვინმესტობაზე ხაზის გასმა, დიდი ბოდიში ყველასთან...

მე ხატიას ცოცხალ კონცერტსაც არ დავსწრებივარ, მაგრამ ინტერნეტში მინახავს არაერთხელ. სულ რომ არ იცოდე, უცხოეთში რომ ამ აფიშებს აწყდები კაცი, თან წინასწარ იცი, რა სიამოვნება და აღფრთოვანება ელის მსმენელს, რამდენი გაიგებს საქართველოს სახელს კარგ კონტექსტში, ძალიან კარგი გრძნობაა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 19 თებერვალი**

**05.00, 15.00** ზამთრის **23**-ე ოლიმპიადა (პ/ე) **12.15, 18.20** ოლიმპიური გადაცემა. **12.50** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **13.30** დოკ/ფ "ალის პირისპირ" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.00** "მოამბე" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.30** მხ/ფ "**მთელი სამეფოს ამალა**" (ჯ.ლოუ) **00.20** ოლიმპიადა **04.00** პროფილაქტიკა

**06.30, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.25** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ტყუილი**" **16.00** სერ. "**ფული და სიყვარული**" **5** სერ. **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **23.30** სერ. "**ღირსების საქ 2**" **1** სერ. **00.30** მხ/ფ "**უკანასკნელი რაინდები**" **02.20** მხ/ფ "**ველური თაფლი**" **04.55** მხ/ფ "**ცოფიანი ძაღლები**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.35** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედის კონცერტი **2014** (სრული ვერსია) **00.30, 00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00**, ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება -NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**GDS** **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-4**" **12.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **7** სერ. **13.00** სერ. "**შილდის აგენტები**" **17.00** სერ. "**ფარი 2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 4**" **21.00** სერ. "**საიდუმლო და ტყუილი**" **8** სერ. **22.30** სერ. "**სპარტაკი**" **1-2** **00.30** მხ/ფ "**მღვდელი**" **02.10** მხ/ფ "**ილაის წიგნი**" **04.15** მხ/ფ "**სხვას გადაუხადე**" **06.20** მხ/ფ "**ჩემი პირადი აიდაჰო**"

**იბერია** **08.00** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 18.05, 19.50, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20, 19.55** მე რომ ვიყო **11.30, 00.00** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიასთან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 3.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 01.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.10** სერ. "**გაქცეულები**" **20.00, 2.00** თოქ-შოუ "თავისუფალი სივრცე " **21.00** სერ. " **სოლი** **23.00** პანორამა

**08.00, 00.00, 02.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.10** ანიმაცია **09.10, 13.30** დ/ფ **10.00, 19.10** სერ. "**სინათლის სხივი**" **10.50** "ვემსახურები საქართველოს" **11.10, 20.00, 20.35** თოქ-შოუ "ჰეშთეგი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მთავარი" **12.30** "ბიბლიოთეკა" **13.00** ინგლისური ენის გაკვეთილები **15.30** მხ/ფ "**ამერიკელი პარიზში**" **17.45** სტუდია "მონიტორის" პროექტი **18.30** თოქ-შოუ "არტ-ექსპერტი" **20.30** ანონსი **20.45** "იყო და არა იყო რა" (საბავშვო გადაცემა) **21.40** თოქ-შოუ "სპორტკლუბი" **22.30** მხ/ფ "**გრეისი**" **00.05** მხ/ფ "**თავშესაფარი**"

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "გარდამოხსნა" **10.50** წიგნის კაცი - ზაქარია ჭიჭინაძე **11.00** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ჩაკლული სული**" **13.20** კონცერტი - საგალობლების საღამო **15.10** დ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **16.00** კონცერტი -შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" **16.50** დ/ფ "ივანე ჯავახიშვილი" **18.15** ანდრია კრეტელი - სინანულის დიდი კანონი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** "განთიადი" **20.40** წმინდა ანდრია კრეტელის დიდი კანონი (განმარტება) **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.35** მარხვისა და სინანულის შესახებ **22.25** ზღვარზე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** შარავანდედი **00.30** მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" **01.40** კონცერტი -საგუნდო მუსიკის ფესტივალი **03.05** მხ/ფ "**კატინი**" **05.10** დ/ფ "გახსოვდეს სიკვდილი" ტერენტი გრანელი

**მაესტრო** **10.00- 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


19 თებერვლისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4641

ევრო — 3.0782

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4675

100 რუსული რუბლი — 4.3669

## ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისთვის








## 8 თებერვლიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

# ვინ მოკლა ინსპექტორი

ქართული დეტექტივი
ტომი 6-7

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

## 13 თებერვლიდან

ჯონ სტაინბეკი

# კონსერვის რიგი




„კონსერვის რიგი“ დიდი ამერიკელი მწერლის – ჯონ სტაინბეკის ერთ-ერთი გამორჩეული რომანია. წიგნი 1945 წელს გამოიცა და ერთი ქუჩის ცხოვრებას აღწერს დიდი დეპრესიის პერიოდის კალიფორნიის ქალაქ მონტერეიში.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## ამერიკელმა დიპლომატმა ეგზოტიკურობისთვის საკუთარი ასაკის „ჟიგული“ შეიძინა




ამერიკელმა დიპლომატმა, რომელიც ესტონეთში აშშ-ის საელჩოში მუშაობს, ავტომობილი ვაზ-2106 („ჟიგული“) შეიძინა, რომელიც 1987 წელს არის გამოშვებული. ასე გადაწყვიტა ბრაიან ტიმ-ბროკმა საკუთარი 30-ე დაბადების დღის აღნიშვნა.

ახალგაზრდა დიპლომატის თქმით, საკუთარ ცხოვრებაში პირველი ავტომობილის ყიდვისას მან გადაწყვიტა, რამე არაჩვეულებრივი შეერჩია.

– ყოველთვის ვიცოდი, რომ მოდური მანქანა არ მჭირდებოდა. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, – განმარტა ტიმ-ბროკმა.

მისი თქმით, უკვე ისწავლა მექანიკური სიჩქარეთა კოლოფით სარგებლობა, ასევე ავტომობილისთვის ზამთრის საბურავებიც შეიძინა.

შეგახსენებთ, რომ ავტომობილი ვაზ-2106 ექვსი 1976 წლიდან 2006 წლის ჩათვლით გამოდიოდა.

## მამაკაცს სიმსივნედ ქცეული კოღოს ნაკბენი ამოაჭრეს




ინდოეთის კერალას შტატის ქალაქ კოჩინში ოპერაცია გაუკეთდა 46 წლის მამაკაცს, რომელსაც კოღოს კბენის შემდეგ თეძოზე 14-კილოგრამიანი სიმსივნე გამოეზარდა.

როდესაც პაციენტი 16 წლის იყო, მას კოღომ უკბინა, რომელიც პარაზიტული მრგვალი ჭიების ფილიარიის გადამტანი აღმოჩნდა. ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ეს ჭიები ლიმფურ ფილიარიოზს იწვევს, დაავადებას, რომელიც კანისა და კანქვეშა ქსოვილების გამოზრდას უწყობს ხელს. 2016 წლიდან მამაკაცი თეძოზე წარმოქმნილი უზარმაზარი სიმსივნის გამო საწოლზე მიჯაჭვული აღმოჩნდა. ის ფეხზე მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტუალეტში გასასვლელად დგებოდა და მაშინაც ამას სხვების დახმარების გარეშე ვერ ახერხებდა.

ოპერაციის შემდეგ, რომელიც ხუთ საათს გაგრძელდა და მასში ხუთი ქირურგი და სამი ანესთეზიოლოგი მონაწილეობდა, პაციენტის წონა 25 კილოგრამით შემცირდა და ახლა მისი წონა 83 კილოგრამს შეადგენს. ახლა უკვე პირველად დიდი ხნის განმავლობაში ის გადაადგილებას დამოუკიდებლად ახერხებს. ექიმები ვარაუდობენ, რომ კიდევ ერთი ოპერაციის შემდეგ, რომელიც, სავარაუდოდ, ექვსი-ცხრა თვის შემდეგ გაუკეთდება, მამაკაცი ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ორი დაქალი ბარში ლუდს უკვეთს:

– თუ შეიძლება, ორი ლუდი მოგვიტანეთ.

– რომელი მოგიტანოთ, მუქი თუ ღია ფერის?

– აუცილებლად მუქი, თორემ ღია ფერი მსუქანს გვაჩენს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა საერთოა კორუფციონერებსა და გველეშაპს შორის?

– ერთ თავს მოაჭრი და მის ადგილზე ორი ამოდის...

•••

ნახატების გამოფენაზე ერთ-ერთი ავანგარდული ნახატის წინ მისი ავტორი და დამთვალიერებელი დგანან. დამთვალიერებელი მხატვარს ეკითხება:

– მითხარით, თქვენს ნახატზე რატომ არის ცა წითელი, ბალახი ლურჯი, ხოლო სახეები კვადრატული?

– ამ სურათზე სამყაროს ჩემეული ხედვა წარმოვსახე! მე ასე აღვიქვამ სამყაროს!

– მაშინ კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან.

– გისმენთ.

– თუ ასეთი ხედვა გაქვთ, რატომ გადაწყვიტეთ მხატვრობა?

•••

სომეხს ცოლი გარდაეცვალა და გაზეთის რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მიიტანა ორი სიტყვისგან შემდგარი განცხადება:

– გარდაიცვალა ასმიკა.

გაზეთის რედაქტორი ეუბნება:

– მინიმალურ ფასად შეგიძლიათ, ოთხსიტყვიანი განცხადება გამოაქვეყნოთ.

– კარგით, მაშინ ჩაამატეთ: „ვყიდი ოპელს“.

•••

მდიდრული სახლის პატრონმა კარზე წარწერა გააკრა:

– ეზოში ძალიან ავი ძაღლია.

სახლის პატრონები დასასვენებლად გაემგზავრნენ. უკან დაბრუნებულებს სახლი გაძარცვული დახვდათ, ხოლო კარზე მიკრული იყო წარწერა: „ძაღლს ცილს რატომ სწამებთ?“

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 15 თებერვლიდან

იაკობ ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი

წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს ბელადის შესახებ. იგი შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის ისეთ საიდუმლოებებს, რომლებიც აქამდე უცნობი იყო საზოგადოებისთვის.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## 16 თებერვლიდან

შორენა ლებანიძე

# ეს მე ვარ, ფიროსმანი

რომანი დიდი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ცხოვრების თავისებურ ლიტერატურულ ვერსიას გვთავაზობს, რომელიც დოკუმენტურ მასალებზე, საარქივო წყაროებსა და თანამედროვეთა მიერ მოთხრობილ რეალურ ცნობებზეა დამყარებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 20 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

# დანაშაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


# ბორჯღალოსნებმა არც გერმანია დაინდეს



ბორჯღალოსნებმა 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურშიც მშრალად მოიგეს. ქუთაისში ბელგიის 47:0 ძლევის შემდეგ საქართველოს ნაკრები ოფენბახში გერმანიას ეწვია, მასპინძლებს 10 უპასუხო ლელო გაუტანეს და 64:0 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრებს საუკეთესო თამაში არ უჩვენებია. გუნდს გაუჭირდა სასურველი განწყობის შექმნა; ექსპერიმენტების ფონზე მრავლად იყო შეცდომები; ამასთან, გერმანელებმა დაცვაში დიდი თავდადებით ითამაშეს, თუმცა კლასში სხვაობა იმდენად საგრძნობი იყო, რომ მეტოქეს სტუმრად დიდი სხვაობით მოვუგეთ.

ოფენბახში ბორჯღალოსნების საქომაგოდ გულშემატკივრი მრავლად შეიკრიბა. საქართველო სიბრტყეზე ცდილობდა თამაშს, თუმცა გერმანელები სწრაფად წევდნენ ხაზს, რაქებში აქტიურობდნენ და თავიდან ცოტა დალა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. სახეებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. ფრანგული ავტომობილი; 9. ზოგი ხეხილის ნაყოფის მაგარი თესლი; 10. საზაფხულო საძოვარი მთაში; 11. ქალის სამოსელი; 13. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 14. მდინარე კახეთში; 16. „ოტელოს“ პერსონაჟი; 18. ლუწის საპირისპირო; 20. მამის ურჩი ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. საქალაქო ტრანსპორტი.

**შვეულად:** 1. სახის მიმიკის მოშლა; 2. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 3. გამანადგურებელი ქარიშხალი წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; 4. კავკასიური მინერალური წყალი; 5. იატაკის საცხი; 7. ქალბატონი ესპანეთში; 11. ბანქო; 12. წყლისპირა რბილმერქნიანი ხე; 13. ჯგუფური გასვლა ქალაქგარეთ საჭმელ-სასმელით; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 17. უდაბნოს „ხომალდი“; 19. ქალაქის თავი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*